

სს „ტერაბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშვალდებული საწარმო	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება.....	24
5. ფინანსური რისკის მიმოხილვა	25
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	33
7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	33
8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	34
9. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	37
10. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	38
11. სხვა აქტივები.....	39
12. დაბეგვრა.....	40
13. საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	41
14. სუბორდინირებული სესხები	41
15. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან ..	42
16. ანაზღაურებები და ნაშთები საკრედიტო დაწესებულებებისგან	43
17. მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურებები მომხმარებლებისგან	43
18. სხვა ვალდებულებები.....	44
19. საკუთარი კაპიტალი	45
20. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი	45
21. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯები.....	45
22. წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	46
23. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	47
24. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	47
25. რისკის მართვა.....	48
26. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	58
27. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი	61
28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	61
29. კაპიტალის ადეკვატურობა	62
30. პირობითი ვალდებულებები	63
31. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები.....	64

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ტერაბანკის“ დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ბანკის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ბანკის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ბანკის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ბანკში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.



სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 7 მაისი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	119,364	79,418
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		143,289	99,030
მომხმარებლებზე გაცემული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8	1,406,462	1,278,374
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	181,936	157,585
დასაკუთრებული ქონება	8	33,948	15,787
შენიშნული-ნაგებობები და მოწყობილობები	9	29,864	27,425
სხვა არამატერიალური აქტივები	10	11,229	4,855
გუდვილი	10	20,374	20,374
ავანსად გადახდილი მოგების გადასახადი	12	5,511	-
სხვა აქტივები	11	9,988	5,914
სულ აქტივები		1,961,965	1,688,762
ვალდებულებები			
საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	13	380,537	210,505
ანაზრები და ნაშთები საკრედიტო დაწესებულებებისგან	16	5,078	10,163
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	17	1,182,644	1,099,648
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		-	2,454
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	12	2,817	1,395
სხვა ვალდებულებები	18	15,023	13,626
სუბორდინირებული სესხები	14	93,304	99,248
სულ ვალდებულებები		1,679,403	1,437,039
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	19	121,372	121,372
გაუნაწილებელი მოგება		161,190	130,351
სულ საკუთარი კაპიტალი		282,562	251,723
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,961,965	1,688,762

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 7 მაისს:



თეა ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი



სოფიო ჯუღელი
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 9-64 გვერდებზე მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

მოგება-ზარალის ანგარიშგება**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

	<i>შენიშვნა</i>	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	20	189,215	164,564
საპროცენტო ხარჯი	20	(112,558)	(95,352)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		76,657	69,212
საკრედიტო ზარალის ხარჯი	5	(5,488)	(2,621)
საკომისიო შემოსავალი	21	10,251	9,564
საკომისიო ხარჯი	21	(5,113)	(4,468)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	22	7,515	5,319
სხვა შემოსავალი		1,273	229
საოპერაციო შემოსავალი		85,095	77,235
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(29,340)	(28,400)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	(6,538)	(5,273)
სხვა ანარიცხების გაუქმება/(დანარიცხი)		380	(759)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვით და გადაფასებით გამოწვეული შემოსულობა/ზარალი		228	3,951
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(13,658)	(11,871)
მოგება დაბეგვრამდე		36,167	34,883
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(5,328)	(5,050)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		30,839	29,833

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 9-64 გვერდებზე მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	121,372	100,518	221,890
წლის მოგება	–	29,833	29,833
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	121,372	130,351	251,723
წლის მოგება	–	30,839	30,839
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	121,372	161,190	282,562

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 9-64 გვერდებზე მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		189,937	161,289
გადახდილი პროცენტი		(111,100)	(90,701)
მიღებული საკომისიო		10,256	9,549
გადახდილი საკომისიო		(5,113)	(4,468)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობით მიღებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	22	8,316	1,068
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		1,112	206
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(27,043)	(25,299)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(13,568)	(11,718)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,344	14,915
გადახდილი მოგების გადასახადი		(11,871)	(2,461)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		46,270	52,380
<i>ცვლილება შემდეგ მუხლებში:</i>			
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		(41,707)	18,936
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(143,021)	(220,744)
სხვა ფინანსური აქტივები		(4,097)	(38)
ანაზრები და ნაშთები ბანკებისგან		(4,956)	10,043
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან		63,507	140,340
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(323)	(4,204)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(84,327)	(3,287)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(30,500)	(101,000)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		5,625	101,790
ობიექტების და მოწყობილობების შეძენა		(5,352)	(6,975)
შემოსულობა ობიექტების და მოწყობილობების გასვლიდან		507	22
არამატერიალური აქტივების შეძენა		(8,899)	(2,416)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(38,619)	(8,579)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(2,007)	(1,909)
საფინანსო დაწესებულებების სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		212,688	86,290
საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სესხების დაფარვა		(41,987)	(138,115)
სუბორდინირებული სესხების დაფარვა		(9,606)	(1,328)
შემოსულობა სუბორდინირებული სესხებიდან		1,183	22,136
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	15	160,271	(32,926)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი		2,621	(369)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		39,946	(45,161)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6	79,418	124,579
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6	119,364	79,418

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც 9-64 გვერდებზე მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ანგარიშვალდებული საწარმო

ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ტერაბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) ქართული კომერციული ბანკია, რომელსაც 2008 წლის 25 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ) მიღებული აქვს საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზია.

ბანკის საგადასახადო სარეგისტრაციო ნომერია 204546045.

ბანკის ძირითადი საქმიანობაა მრავალფეროვანი საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურებების გაწევა. ეს მოიცავს ანაზღაურების მიღებას, კრედიტის გაცემას, ადგილობრივი და საერთაშორისო გადახდების ხელშეწყობას, ვალუტის კონვერტაციას და სხვადასხვა სხვა საბანკო სერვისების შეთავაზებას როგორც საცალო, ისე - კორპორაციული მომხმარებლებისთვის.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქ. წამებულის გამზირი #3. ბანკს აქვს 31 ფილიალი, სერვის-ცენტრი და სერვის-დესქი (2023 წ.: 32 ფილიალი), რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

მფლობელები	2024 საკუთრების წილი, %	2023 საკუთრების წილი, %
შეიხი ნაჰიან მაზარაქ ალ ნაჰიანი	80%	65%
შეიხი მოჰამედ ბინ ბუტი ალ ჰამედი	15%	15%
შეიხი მანსურ ბინ ზეიედ ბინ სულთან ალ ნაჰიანი	0%	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიდინგ გრუპ“	5%	5%
	100%	100%

ბანკის მფლობელობის სტრუქტურა შემდეგი მეკავშირე საწარმოებისგან შესდგება:

მეკავშირე საწარმო	2024 საკუთრების უფლება პროცენტი, %	2023 საკუთრების უფლება პროცენტი, %
შპს „Standard Leasing“	20%	20%
შპს „Credit Union Refinancing Company“	40%	40%

შპს „Standard Leasing“-ის იურიდიული მისამართია საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №43.

შპს „Credit Union Refinancing Company“-ს იურიდიული მისამართია საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №43.

საწესდებო კაპიტალია 2 ლარი და 2.6 ლარი, შესაბამისად. დღეისათვის ორივე საწარმო დროებით უმოქმედოა.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები აღწერილია 28-ე შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერის მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე. პარტნიორს აქვს იურიდიული უფლება და უფლებამოსილება შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

(ა) განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ბანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში „ლარი“), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს საბაზისო მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ანგარიშგების მიზნებისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში (თუ სხვა რამ არ არის მითითებული) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

არსებულ ფასს (IFRS) სტანდარტების ქვემოთ მოცემული ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვრით დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის.

- ▶ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად და გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური დათქმებით - ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე 12 თვის განმავლობაში.

- ▶ საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში - ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება.

- ▶ განმარტებითი შენიშვნები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ცვლილებები განმარტავენ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლებს და მოითხოვენ ამგვარი გარიგებების დამატებით განმარტებებს. ცვლილებები განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში.

არცერთ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ა) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები ლარში კონვერტირდება, გარიგების თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტირება ხდება ამ თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) პროცენტი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს ან მიღებულ ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

- ▶ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ▶ ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების გარდა სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, ბანკი აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს, ფინანსური ინსტრუმენტების ყველა სახელშეკრულებო პირობის, და არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კრედიტზე მორგებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშდება შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს და ასევე გადახდილ ან მიღებულ საკომისიოებს და ქულებს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საოპერაციო დანახარჯები მოიცავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შემენასა ან გამოშვებასთან პირდაპირ მიკუთვნებად ზღვრულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, გამოკლებული ძირითადი თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ თანხასა და ვადის ბოლოს არსებულ თანხას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაგროვილი ამორტიზაცია, და, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მორგებულია ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული „ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ წარმოადგენს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის კორექტირებამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ბ) პროცენტი (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის დაანგარიშება

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საწყისი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქტივის (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული) მთლიან საბალანსო ღირებულებასთან ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შემობრუნდება მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების პერიოდული გადაფასების შედეგად, პროცენტის საბაზრო განაკვეთებში ცვლილების დინამიკის ასახვის მიზნით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ასევე იცვლება სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების კორექტირებისთვის, იმ თარიღში, როდესაც იწყება ჰეჯირების კორექტირების ამორტიზება.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურდა საწყისი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ბრუტო საფუძველს უბრუნდება.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურდა საწყისი აღიარებისას, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გაუფასურებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება არ უბრუნდება მთლიან საფუძველს, მაშინაც კი, თუ გაუმჯობესდება აქტივის საკრედიტო რისკი.

წარდგენა

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

(გ) საკომისიო

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

თუ არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს სესხის მოზიდვას, დაკავშირებული სასესხო ვალდებულების საფასური აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ვალდებულების პერიოდზე.

ხელშეკრულება მომხმარებელთან, რომელიც იწვევს აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა ნაწილობრივ მოხდეს ფასს (IFRS) 9-ის და ნაწილობრივ ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, ბანკი პირველად იყენებს ფასს (IFRS) 9 სტანდარტს ხელშეკრულების იმ ნაწილის გამიჯვნისა და შეფასებისთვის, რომელიც ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში ხვდება, ხოლო დანარჩენზე ვრცელდება ფასს (IFRS) 15.

სხვა საკომისიო ხარჯები მეტწილად უკავშირდება საოპერაციო და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც აღირიცხება ხარჯებში მომსახურების გაწევისას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

i. კლასიფიკაცია

საწყისი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებაში მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ განეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულის კატეგორიას:

- ▶ აქტივის ფლობა ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ცალსახად წარმოადგენს ძირითადი თანხის და ამ უკანასკნელზე დაუფარავი პროცენტის გადახდებს.

ბანკს არ უნდა ჰქონდეს ფინანსური აქტივები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი ახდენს იმ ბიზნესმოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ეს ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- ▶ დამტკიცებულ პოლიტიკას და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკის პრაქტიკაში გამოყენებისთვის, მათ შორის, როდესაც ხელმძღვანელობის სტრატეგია ორიენტირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო ამონაგების გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებისკენ, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადებთან შესაბამისობაზე, რომელიც ამ აქტივებს აფინანსებენ ან ახორციელებენ ფულადი ნაკადების რეალიზებას აქტივების შესყიდვის გზით;
- ▶ როგორ ფასდება საქმიანობის შედეგების პორტფელი და ანგარიში წარედგინება ბანკის ხელმძღვანელობას;
- ▶ რისკები, რომლების მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის შესრულების მაჩვენებლებზე (და ბიზნეს მოდელში ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ამგვარი რისკები;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების ანაზღაურება - მაგ. კომპენსაცია ეფუძნება თუ არა მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ▶ წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალ გაყიდვასთან დაკავშირებული მოლოდინები. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების შესახებ არ განიხილება განცალკევებით, თუმცა განიხილება, როგორც ბანკის მიერ ფინანსური აქტივების მართვისთვის დამტკიცებული მიზნის და ფულადი ნაკადების რეალიზების საერთო შეფასების ნაწილი.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები განმეორებით არ კლასიფიცირდება საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა პერიოდისა, მას შემდეგ, როდესაც ბანკი შეიცვლის ბიზნეს-მოდელს ფინანსური აქტივების სამართავად.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი თავის ფინანსურ ვალდებულებებს (გარდა ფინანსური გარანტიებისა და სასესხო ვალდებულებებისა) განსაზღვრავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებების გადაკლასიფიცირება არ ხდება საწყისი აღიარების შემდეგ.

ii. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც იგი გადასცემს უფლებას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებაზე გარიგებაში, რომელშიც გადაიცემა ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან რომელშიც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებას (ან იმ აქტივის ნაწილზე გამოყოფილი საბალანსო ღირებულება, რომლის აღიარებაც შეწყდა) და (i) მიღებული საზღაურის და (ii) ნებისმიერი კუმულაციური შემოსულობის ან ზარალის თანხას შორის, რომელიც აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

iii. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის პირობების მოდიფიცირების შემთხვევაში, ბანკი აფასებს მნიშვნელოვნად ხომ არ განსხვავდება შეცვლილი აქტივის ფულადი ნაკადები. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია (შემდგომში „არსებითი მოდიფიცირება“), თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილ ფულად სახსრებზე სახელშეკრულებო უფლებები ვადაგასულად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, ნებისმიერი დაშვებული საოპერაციო დანახარჯების დამატებით. მოდიფიკაციის შემადგენელი ნაწილის სახით მიღებული ნებისმიერი საფასური შემდეგი სახით აღირიცხება:

- ▶ საფასური, რომელიც გათვალისწინებულია ახალი აქტივის და სამართლიანი ღირებულების და იმ საფასურების განსაზღვრებაში, რომლებიც წარმოადგენს შესაბამისი საოპერაციო დანახარჯების ანაზღაურებას და შესულია აქტივის საწყის შეფასებაში; და
- ▶ სხვა საფასურები შესულია მოგება-ზარალში, როგორც შემოსულობა ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას.

ცვლილებები ფულად ნაკადებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე ან ფინანსურ ვალდებულებებზე არ მიიჩნევა მოდიფიკაციად, თუ ისინი მომდინარეობს არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგ. სებ-ის განაკვეთის ცვლილების გამო ბანკის მიერ ინიცირებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან, თუ სესხის ხელშეკრულება ბანკს ანიჭებს ამგვარ უფლებამოსილებას. ბანკი ატარებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას იმისა, არის თუ არა მოდიფიცირება არსებითი, ე.ი. საწყისი ფინანსური აქტივის და მოდიფიცირებული ან შეცვლილი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ბანკი აფასებს, მოდიფიკაცია არსებითია თუ არა რაოდენობრივი და თვისებრივი ფაქტორების გათვალისწინებით, შემდეგი თანმიმდევრობით: თვისებრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი და თვისებრივი ფაქტორების ერთობლივი ეფექტი. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილ ფულად სახსრებზე სახელშეკრულებო უფლებები ვადაგასულად ჩაითვლება.

ბანკმა დაასკვნა, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგი თვისებრივი ფაქტორების შედეგად:

- ▶ ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- ▶ ცვლილება უზრუნველყოფის საგანში ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირება;
- ▶ მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის ცვლილება ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებით, ან პირიქით.

თუ ფულადი ნაკადები იცვლება, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები, ცვლილების მიზანი ჩვეულებრივ არის თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის შექმნა, არსებითად განსხვავებული პირობებით. თუ ბანკი გეგმავს ფინანსური აქტივის მოდიფიცირებას ისეთი ფორმით, რომელიც გამოიწვევს ფულადი ნაკადების პატიებას, მაშინ ის პირველ რიგში განიხილავს, აქტივის ნაწილი უნდა ჩამოიწეროს თუ არა მოდიფიცირების განხორციელებამდე.

თუ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შედეგად, მაშინ ბანკი პირველად გადაიანგარიშებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და შედეგად მიღებულ ცვლილებას მოგება-ზარალში აღიარებს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური აქტივებისთვის, მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის დასაანგარიშებლად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იცვლება მოდიფიცირების დროს მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან საფასურები, ასევე მოდიფიცირების შემადგენელი ნაწილის სახით მიღებული საფასურები ცვლიან მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან საფასურები, ასევე მოდიფიცირების შემადგენელი ნაწილის სახით მიღებული საფასურები ცვლიან მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადით.

თუ ამგვარი მოდიფიცირება ხორციელდება მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო, შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში ის აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი, რომელიც დაანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (იხილეთ 3(ბ) შენიშვნა).

ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხებისთვის, როდესაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა წინსწრებით დაფაროს სესხი მნიშვნელოვანი ჯარიმის გარეშე, ბანკი საპროცენტო განაკვეთის მოდიფიკაციას აღრიცხავს მიმდინარე საბაზრო განაკვეთით, მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ეს იმას გულისხმობს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი პერსპექტიულად დაკორექტირდება.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, მისი ვადის ცვლილებისას, ან როდესაც შეცვლილი ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით აღიარდება. სხვაობა დაფარული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და შეცვლილი პირობების მქონე ახალი ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში აღიარდება. გადახდილი საზღაური მოიცავს გადაცემულ არაფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ვალდებულებებთან დაკავშირებულ დაშვებას, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

იმის შესაფასებლად, მოდიფიკაცია არსებითია თუ არა, ბანკი რაოდენობრივ და თვისებრივ შეფასების მეთოდებს იყენებს, რომელშიც რაოდენობრივი ფაქტორები, თვისებრივი ფაქტორები და რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების ერთობლიობა არის გათვალისწინებული.

რაოდენობრივი შეფასებისას, პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული აღიარების შეწყვეტის გამო, ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაანგარიშდება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით, თავდაპირველი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის დასაანგარიშებლად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იცვლება მოდიფიცირების დროს მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯი და საფასური აღიარებულია, როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშებით.

iv. გაუფასურება

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში:

- ▶ ფინანსური აქტივები, რომლებიც სავალო ინსტრუმენტებია;
- ▶ სასესხო ვალდებულებები და გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები.

ბანკი ზარალის რეზერვს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგისა, რომლებიც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით ფასდება:

- ▶ სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაბალი საკრედიტო რისკით ხასიათდება საანგარიშგებო თარიღში; და
- ▶ სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საწყისი აღიარების შემდეგ (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისთვისაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, მოიხსენიებიან, როგორც 1-ლი სტადიის ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისთვისაც აღიარდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოიხსენიება, როგორც მე-2 სტადიის ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არიან გაუფასურებული) და მე-3 სტადიის ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები გაუფასურებულია).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას და ისინი შემდეგი სახით ფასდება:

- ▶ ამოუღებელი სასესხო ვალდებულებები: დღევანდელი ღირებულება სხვაობისა ვალდებულების დაფარვის შემთხვევაში ბანკისთვის მართებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს და ისეთ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც გეგმავს ბანკი; და
- ▶ ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები: მფლობელის ასანაზღაურებლად მოსალოდნელი გადახდების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომლის ანაზღაურებასაც მოელის ბანკი.

ასევე იხილეთ მე-5 შენიშვნა.

რესტრუქტურული ფინანსური აქტივების

თუ ფინანსური აქტივების ვადა რესტრუქტურულია ან შეიცვლება, ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ჩანაცვლდება ახლით, გაკეთდება შეფასება, უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. 3(დ)(ii) შენიშვნა) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემდეგი სახით შეფასდება.

- ▶ თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შევა არსებული აქტივებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების დეფიციტის დაანგარიშებაში (იხ. მე-5 შენიშვნა);
- ▶ თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება საბოლოო ფულად ნაკადებად არსებული ფინანსური აქტივიდან, მისი აღიარების შეწყვეტის დროისთვის. ეს თანხა შესულია არსებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების დეფიციტის დაანგარიშებაში, რომლებიც დისკონტირდება აღიარების შეწყვეტის მოსალოდნელი თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე, არსებული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ბანკი აფასებს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებულია თუ არა (მოიხსენიება როგორც „მე-3 სტადიის ფინანსური აქტივები“). ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე.

მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების გამო რესტრუქტურული სესხი ჩვეულებრივ მიიჩნევა გაუფასურებულად, სანამ არ გაჩნდება მტკიცებულება იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების არ მიღების რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ნიშნები არ არსებობს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც დაქვითვა აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ჩამოწერები

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან მთლიანად), როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი აღდგება მთლიანად ან ნაწილობრივ. ზოგადად ამ დროს ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ეს შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა შესულია ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაუფასურების ზარალში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები კვლავ შეიძლება იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი ვადადამდგარი თანხების აღდგენისთვის ბანკის პროცედურებთან შესაბამისობის მიზნით.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო რეზერვი სებ-ში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მოთხოვნებს სებ-ის მიმართ, სავალდებულო მარაგების გამოკლებით, მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და სხვა მაღალლიკვიდურ ფინანსურ აქტივებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით, რომლებსაც აქვს სამართლიანი ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და გამოიყენება ბანკის მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სავალდებულო მარაგების ნაშთი წარმოადგენს პროცენტიან ანაზარს, რომელიც დაანგარიშდება სებ-ის მიერ გაცემული რეგულაციების შესაბამისად და რომელთა ამოღებადობა შეზღუდულია. სავალდებულო რეზერვის ანაზარი სებ-ში არ მიიჩნევა ფულადი სახსრების ეკვივალენტად, მისი ამოღებადობის შეზღუდვის გამო.

(ვ) მომხმარებლებზე გაცემული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

„მომხმარებლებზე გაცემული სესხების“ მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო ფინანსურ აქტივებს; ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ზღვრული პირდაპირი საოპერაციო დანახარჯების დამატებით და შემდგომში მათი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

აღიარება და საწყისი შეფასება

სს „ტერაბანკი“ აქტივებს ფინანსური იჯარის საფუძველზე აღიარებს ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშგებაში და წარადგენს მათ მოთხოვნების სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი ოდენობით. წმინდა საიჯარო ინვესტიციის შეფასების მიზნით, ბანკი იყენებს იჯარაში ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს. საწყისი პირდაპირი დანახარჯები შესულია წმინდა საიჯარო ინვესტიციის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის პროცესში გამომუშავებულ შემოსავლის თანხას. იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ისეთი ფორმით, რომ ავტომატურად ასახოს საწყისი პირდაპირი დანახარჯები წმინდა საიჯარო ინვესტიციაში და საჭირო არ არის მათი გაცალკევებით დამატება.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საწყისი საბალანსო ღირებულება შემდეგი სახით დაანგარიშდება:

მიღებული თანაგადახდით შემცირებული აქტივის ფასი, რომლის მიღებული თანხა წარმოადგენს საიჯარო მოთხოვნის საწყის საბალანსო ღირებულებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ზ) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

„საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების“ მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს; ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ზღვრული პირდაპირი საოპერაციო დანახარჯების დამატებით და შემდგომში მათი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(თ) დასაკუთრებული ქონება

დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, ხოლო შემდეგ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით და აისახება ობიექტებსა და აღჭურვილობებში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის განზრახვაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

(ი) ფინანსური გარანტია და სასესხო ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც ბანკს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. სასესხო ვალდებულებები ადრე მითითებული პირობების ფარგლებში კრედიტის შეთავაზების უცვლელი ვალდებულებებია.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ამის შემდეგ, ისინი შემდეგი სახით ფასდება:

- ▶ ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში განსაზღვრული ზარალის რეზერვს (იხ. 3(დ) შენიშვნა) და შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის პრინციპების თანახმად აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

ბანკს არ გაუცია სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და აისახება მოგებაში ან ზარალში.

(კ) ფინანსური გარანტია და სასესხო ვალდებულებები

სხვა სასესხო ვალდებულებებისთვის:

- ▶ ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს (იხილეთ 3(დ)(iv) შენიშვნა).

ანარიცხებში შესულია ფინანსური გარანტიებიდან და სასესხო ვალდებულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

(ლ) შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა ასახულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. უმნიშვნელო რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის თვითღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ლ) შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები (გაგრძელება)

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც განისაზღვრება მიღებული შემოსულობის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ნაწილების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში.

შენობა-ნაგებობები	50 წელი
საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა	5–15 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი და სხვა გრძელვადიანი აქტივები	5 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5–10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ბანკი აქტივის გასვლიდან მიიღება, გასვლის სავარაუდო დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

(მ) გუდვილი

გუდვილი არის შეძენის თვითღირებულების ნამეტი შეძენილი შვილობილი საწარმოების და მეკავშირე საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების მყიდველის წილის სამართლიან ღირებულებაზე გაცვლის ოპერაციის თარიღში. შვილობილი საწარმოების შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე. გუდვილი აისახება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბანკი გუდვილს გაუფასურებაზე ამოწმებს სულ მცირე ყოველწლიურად და როცა კი არსებობს მითითება იმისა, რომ გუდვილი შესაძლოა გაუფასურდეს.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

(ნ) არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფებს, მომხმარებლებთან ურთიერთობებსა და ლიცენზიებს.

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ამორტიზაცია მოგებასა და ზარალს ერიცხება წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა ერთიდან ათ წლამდე მერყეობს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ნ) არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა (გაგრძელება)

კვლევისა და განვითარების დანახარჯები

კვლევის დანახარჯები გაწევისას აღირიცხება. განვითარების დანახარჯები ინდივიდუალურ პროექტზე აღიარდება, როგორც არამატერიალური აქტივები, როდესაც ბანკი ახდენს შემდეგის დემონსტრირებას:

- ▶ არამატერიალური აქტივის ისე დასრულების ტექნიკურ მიზანშეწონილობას, რომ აქტივი ხელმისაწვდომი გახდეს გამოყენების;
- ▶ აქტივის დასრულების სურვილს და მისი გამოყენების უნარს და განზრახვას;
- ▶ როგორ განახორციელებს აქტივი მომავალი ეკონომიკური სარგებლის გენერირებას;
- ▶ აქტივის დასასრულებლად რესურსების ხელმისაწვდომობას;
- ▶ განვითარების პროცესში ხარჯის საიმედოდ შეფასების უნარს.

განვითარების დანახარჯების აქტივად საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება. აქტივის ამორტიზაცია იწყება განვითარების დასრულების და ასევე მას შემდეგ, რაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. ის ამორტიზირდება მოსალოდნელი მომავალი სარგებლის პერიოდზე.

(ო) სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. დამატებითი დანახარჯები პირდაპირ მიკუთვნება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და წილობრივი ოფციონები აღიარდება საკუთარი კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი დაბეგვრის შედეგის გამოკლებით.

დივიდენდები

ბანკის უნარი გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები საქართველოში მოქმედი წესების და ნორმატიული აქტების საგანს წარმოადგენს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება, როგორც გაუნაწილებელი მოგების ფლობა იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება.

(პ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებას წლის დასაბეგრ შემოსავალზე, საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღში დან საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას წინა წელთან მიმართებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(პ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება გამოუყენებელ საგადასახადო ზარალებზე, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებზე და დაქვითვად დროებით სხვაობებზე, თუ ნავარაუდევია, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების შემობრუნების საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა არ შეესაბამება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებას, მაშინ მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელიც კორექტირდება არსებული დროებითი სხვაობების შემობრუნებისთვის, გათვალისწინდება ბანკში ინდივიდუალური შვილობილი საწარმოების ბიზნეს გეგმების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და შემცირდება მაშინ, თუ აღარ არის სავარაუდო, რომ მოხდება დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირება შემობრუნდება მაშინ, როდესაც გაუმჯობესება მომავალი დასაბეგრი მოგების გაუმჯობესების ალბათობა.

(ჟ) იჯარა

ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებას იჯარის ვადის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას, რომელიც კორექტირდება იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან მანამდე განხორციელებული ნებისმიერი საიჯარო გადახდით, რასაც ემატება ნებისმიერი საწყისი პირდაპირი დანახარჯები და ნებისმიერი გაუმჯობესების დემონტაჟის და გატანის სავარაუდო დანახარჯები.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულებამდე. ამასთან, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

იჯარის ვალდებულება თავდაპირველად საიჯარო ვალდებულებების დღევანდელი ღირებულებით ფასდება, რომლებიც არ გადაიხდება იჯარის ვადის დაწყების თარიღში, დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან, თუ ამგვარი განაკვეთი ვერ განისაზღვრება, ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, ზღვრული სასესხო განაკვეთი გამოიყენება როგორც დისკონტირების განაკვეთი.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ბანკი აფასებს ახალ და შეცვლილ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ძალაში არ არიან შესული, ფინანსურ ანგარიშგებებზე მისი გავლენის განსასაზღვრად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოიცავს სტანდარტებს და ცვლილებებს, რომლებიც უკვე ძალაშია შესული ახალი სტანდარტების და ცვლილებების საფუძველზე, თუმცა კვლავ მიმდინარეობს მისი ადგილობრივი დამტკიცების პროცესი ან გამოიწვია ძალაში შესვლის უფრო გვიანი თარიღი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილება - ფასს (IFRS) 9-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება. 2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები „ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილებები“ (შემდგომში „ცვლილებები“). ეს ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- ▶ იმის განმარტება, რომ ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება „ანგარიშსწორების თარიღში“ და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის დანერგვა (კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში), დაფარული ფინანსური ვალდებულებების აღიარების შესაწყვეტად, ელექტრონული საგადახდო სისტემის გამოყენებით, ანგარიშსწორების თარიღამდე;
- ▶ დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებისთვის, გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის (ESG) და მსგავსი ფუნქციებისთვის;
- ▶ იმის განმარტება, თუ რას წარმოადგენს „რეგრესის გარეშე ფუნქციები“ და რა მახასიათებლები აქვთ ხელშეკრულების მიხედვით დაკავშირებულ ინსტრუმენტებს;
- ▶ პირობითი ფუნქციების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების განმარტებითი შენიშვნების და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული წილობრივი ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნების დანერგვა.

ცვლილებები ძალაშია 2026 წლით დაწყებული და შემდგომი ყოველწლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება, მხოლოდ ფინანსური აქტივების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების ცვლილებების ადრე მიღების შესაძლებლობით. დღეისათვის ბანკი არ გეგმავს ამ ცვლილებების ვადაზე ადრე მიღებას.

ელექტრონული საგადახდო სისტემით დაფარული ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, დღეისათვის ბანკი ატარებს ყველა არსებითი ელექტრონული საგადახდო სისტემის შეფასებას, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა იურისდიქციაში, სადაც ის ფუნქციონირებს. ამ შეფასების მიზანია იმის განსაზღვრა, გამოიწვევს თუ არა ცვლილებები არსებით ცვლილებებს მიმდინარე პრაქტიკებთან მიმართებით და დააკმაყოფილებს თუ არა ის სააღრიცხვო პოლიტიკის ოფციის გამოყენების პირობებს, ამგვარი ფინანსური ვალდებულებების აღიარების დაფარვის თარიღამდე შეწყვეტისთვის. გარდა ამისა, ბანკი მიმოიხილავს ყველა თავის სხვა საგადახდო სისტემას (როგორც არის ჩეკები, საკრედიტო ბარათები, სადებეტო ბარათები), რათა უზრუნველყოფილ იქნას ფულადი ნაკადების უფლების ამოწურვისას შესაბამისი ფინანსური აქტივების და დაფარვის თარიღში შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.

ამასთან, ბანკი აფასებს ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ ფუნქციებს და სხვა მსგავს პირობით ფუნქციებს, ასევე რეგრესის უფლების გარეშე დაფინანსებას და სახელშეკრულებო ინსტრუმენტებს. ჩატარებული საწყისი შეფასების საფუძველზე, მოსალოდნელი არ არის, რომ ამ სფეროებში ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა შეფასება ჯერ არ დასრულებულა.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილის თვეში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 18 („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“), რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა. მასში განსაზღვრულია წარდგენის სპეციფიკური მოთხოვნები და ოფციები ისეთი საწარმოებისთვის, როგორც არის „Good Bank“, რომელსაც აქვს მითითებული ძირითადი ბიზნეს-საქმიანობები (გასწევს ფინანსურ მომსახურებებს მომხმარებლებისთვის ან ახორციელებს სპეციფიკური სახის აქტივებში ინვესტირებას, ან ორივე).

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, საწყისი ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებითი შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტებიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ბანკი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა განსჯა, შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც გავლენა აქვთ ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობამ გამოიყენა განსჯა და შეფასებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების განსაზღვრებაში. განსჯის და შეფასებების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია შესაძლებლობის ფარგლებში ბაზრიდან აიღება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება განსჯის საფუძველზე განისაზღვრება გთხოვთ, იხილოთ 26-ე შენიშვნა.

საბაზრო ემპირიული ამოსავალი მონაცემებით შეფასების მეთოდის გამოყენებით შეფასებული წარმოებული ინსტრუმენტები მეტწილად წარმოადგენს ფორვარდულ ხელშეკრულებებს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე. ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების მოდელი მოიცავს ფორვარდულ შეფასების მოდელებს, დღევანდელი ღირებულების დაანგარიშების გამოყენებით. მოდელები სხვადასხვა ამოსავალ მონაცემებს მოიცავს, მათ შორის უცხოური ვალუტის სპოტ და ფორვარდულ განაკვეთებს. ასევე იხილეთ მე-11 შენიშვნა.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში გაუფასურების ზარალის შეფასება ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში საჭიროებს განსჯას, კონკრეტულად მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის ღირებულების ოდენობის და ვადების შეფასებას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო დაშვებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ცვლილებები საკრედიტო ზარალის რეზერვში მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის და ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის, კლასების მიხედვით (ბიზნეს, სამომხმარებლო, იპოთეკური და ფინანსური იჯარის მოთხოვნები) 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ შორის მოძრაობები თითოეული შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ბიზნეს სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი								
1 იანვრის მდგომარეობით	4,672	5,226	14,534	24,432	2,927	8,091	14,283	25,301
გადატანა 1-ელ ეტაპზე	1,693	(845)	(848)	–	3,327	(1,859)	(1,468)	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(87)	2,468	(2,381)	–	(100)	1,258	(1,158)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(123)	(1,111)	1,234	–	(43)	(609)	652	–
შემობრუნება	–	–	354	354	–	–	557	557
წმინდა ზარალის რეზერვის ხელახალი შეფასება	(3,660)	(2,172)	4,228	(1,604)	(4,086)	(2,772)	2,784	(4,074)
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	4,789	–	–	4,789	5,474	–	–	5,474
გადატანა მე-2 სტადიაზე	(1,539)	1,539	–	–	(1,117)	1,117	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(945)	–	945	–	(1,710)	–	1,710	–
ჩამოწერები	–	–	(3,777)	(3,777)	–	–	(3,196)	(3,196)
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	–	–	646	646	–	–	370	370
31 დეკემბრის მდგომარეობით	4,800	5,105	14,935	24,840	4,672	5,226	14,534	24,432
სამომხმარებლო სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი								
1 იანვრის მდგომარეობით	692	383	3,132	4,207	455	278	2,481	3,214
გადატანა 1-ელ ეტაპზე	261	(29)	(232)	–	229	(57)	(172)	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(7)	45	(38)	–	(6)	161	(155)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(10)	(61)	71	–	(10)	(56)	66	–
შემობრუნება	–	–	518	518	–	–	272	272
წმინდა ზარალის რეზერვის ხელახალი შეფასება	(557)	329	1,554	1,326	(398)	(134)	483	(49)
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	1,776	–	–	1,776	1,277	–	–	1,277
გადატანა მე-2 სტადიაზე	(268)	268	–	–	(191)	191	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(887)	–	887	–	(664)	–	664	–
ჩამოწერები	–	–	(1,685)	(1,685)	–	–	(1,916)	(1,916)
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	–	–	563	563	–	–	1,409	1,409
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000	935	4,770	6,705	692	383	3,132	4,207

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)

იპოთეკური სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მოსალოდნელი								
საკრედიტო ზარალი								
1 იანვრის								
მდგომარეობით	179	236	1,163	1,578	156	151	1,311	1,618
გადატანა 1-ელ								
სტადიაზე	46	(36)	(10)	–	82	(82)	–	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(1)	96	(95)	–	(3)	241	(238)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(1)	(140)	141	–	(1)	(13)	14	–
შემობრუნება	–	–	–	–	–	–	28	28
წმინდა ზარალის								
რეზერვის ხელახალი								
შეფასება	(114)	(60)	(816)	(990)	(108)	(148)	79	(177)
ახალი წარმოქმნილი ან								
შესყიდული ფინანსური								
აქტივები	85	–	–	85	140	–	–	140
გადატანა მე-2 სტადიაზე	(7)	7	–	–	(87)	87	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(18)	–	18	–	–	–	–	–
ჩამოწერები	–	–	(138)	(138)	–	–	(309)	(309)
ადრე ჩამოწერილი								
თანხების აღდგენა	–	–	68	68	–	–	278	278
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	169	103	331	603	179	236	1,163	1,578
ფინანსურ იჯარასთან								
დაკავშირებული								
მოთხოვნები								
მოსალოდნელი								
საკრედიტო ზარალი								
1 იანვრის								
მდგომარეობით	30	–	–	30	–	–	–	–
გადატანა 1-ელ								
სტადიაზე	–	–	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(4)	4	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(1)	–	1	–	–	–	–	–
წმინდა ზარალის								
რეზერვის ხელახალი								
შეფასება	–	–	–	–	–	–	–	–
დაფარვა დასაკუთრების								
გზით	(24)	3	32	11	–	–	–	–
ახალი წარმოქმნილი ან								
შესყიდული ფინანსური								
აქტივები	95	–	–	95	30	–	–	30
გადატანა მე-2 სტადიაზე	(59)	59	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(15)	–	15	–	–	–	–	–
ჩამოწერები	–	–	–	–	–	–	–	–
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	22	66	48	136	30	–	–	30

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი იძლევა ინფორმაციას ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ნაჩვენები თანხების შეჯერების შესახებ, რომელშიც დარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის საწყისი და საბოლოო ნაშთები, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით.

2024						
	მომხმარებ- ლებზე გაცემული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცემული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცემული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცემული სესხები	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირე- ბული მოთხოვნები	სულ
წმინდა ზარალის რეზერვის ხელახალი შეფასება	(1,604)	1,326	(990)	–	11	(1,257)
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	4,789	1,776	85	–	95	6,745
სულ	3,185	3,102	(905)	–	106	5,488
2023						
	მომხმარებ- ლებზე გაცე- მული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცე- მული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცე- მული სესხები	მომხმარებ- ლებზე გაცე- მული სესხები	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირე- ბული მოთხოვნები	სულ
წმინდა ზარალის რეზერვის ხელახალი შეფასება	(4,074)	(49)	(177)	–	–	(4,300)
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	5,474	1,277	140	–	30	6,921
სულ	1,400	1,228	(37)	–	30	2,621

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)

ქვემოთ დამატებით განმარტებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები სამომხმარებლო სესხების და ფინანსური ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პორტფელში.

ბიზნეს სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო								
ღირებულება 1 იანვრის								
მდგომარეობით	928,003	58,833	35,456	1,022,292	744,231	62,300	36,255	842,786
გადატანა 1-ელ ეტაპზე	11,733	(9,490)	(2,243)	–	16,873	(13,141)	(3,732)	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(28,853)	33,848	(4,995)	–	(26,573)	31,316	(4,743)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(21,009)	(9,499)	30,508	–	(10,874)	(7,607)	18,481	–
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	473,454	–	–	473,454	488,110	–	–	488,110
გადატანა მე-2 სტადიაზე	(12,373)	12,373	–	–	(12,454)	12,454	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(3,611)	–	3,611	–	(3,908)	–	3,908	–
გადახდა და სხვა								
მოდრაობები (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით)	(347,214)	(24,423)	(12,723)	(384,360)	(267,402)	(26,489)	(12,444)	(306,335)
შემობრუნება	–	–	354	354	–	–	557	557
ჩამოწერები	–	–	(3,777)	(3,777)	–	–	(3,196)	(3,196)
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	–	–	646	646	–	–	370	370
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	1,000,130	61,642	46,837	1,108,609	928,003	58,833	35,456	1,022,292

სამომხმარებლო სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო								
ღირებულება 1 იანვრის								
მდგომარეობით	137,411	3,413	5,645	146,469	110,441	2,281	4,426	117,148
გადატანა 1-ელ ეტაპზე	784	(435)	(349)	–	1,354	(699)	(655)	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(2,479)	2,546	(67)	–	(1,723)	2,025	(302)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(3,081)	(457)	3,538	–	(2,841)	(470)	1,902	(1,409)
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	93,574	–	–	93,574	87,082	–	–	87,082
გადატანა მე-2 სტადიაზე	(1,716)	1,716	–	–	(1,539)	1,539	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(1,508)	–	1,508	–	(1,261)	–	1,261	–
გადახდა და სხვა								
მოდრაობები (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით)	(80,080)	(2,573)	(1,972)	(84,625)	(54,102)	(1,263)	(752)	(56,117)
შემობრუნება	–	–	518	518	–	–	272	272
ჩამოწერები	–	–	(1,685)	(1,685)	–	–	(1,916)	(1,916)
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	–	–	563	563	–	–	1,409	1,409
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	142,905	4,210	7,699	154,814	137,411	3,413	5,645	146,469

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)

აპოთეკური სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო								
ღირებულება 1 იანვრის								
მდგომარეობით	91,776	5,443	2,176	99,395	91,915	1,838	3,674	97,427
გადატანა 1-ელ ეტაპზე	925	(899)	(26)	–	1,147	(1,147)	–	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(547)	767	(220)	–	(1,981)	2,872	(891)	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(586)	(3,354)	3,940	–	(725)	(125)	850	–
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	37,408	–	–	37,408	28,833	–	–	28,833
გადატანა მე-2 სტადიაზე	(76)	76	–	–	(2,843)	2,843	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(57)	–	57	–	–	–	–	–
გადახდა და სხვა მოძრაობები (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით)	(22,740)	(350)	(3,877)	(26,967)	(24,570)	(838)	(1,454)	(26,862)
შემობრუნება	–	–	–	–	–	–	28	28
ჩამოწერები	–	–	(138)	(138)	–	–	(309)	(309)
ადრე ჩამოწერილი თანხების აღდგენა	–	–	68	68	–	–	278	278
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	106,103	1,683	1,980	109,766	91,776	5,443	2,176	99,395

სალომზარდო სესხები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო								
ღირებულება 1 იანვრის								
მდგომარეობით	25,646	–	–	25,646	28,409	–	–	28,409
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	–	–	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	–	–	–	–	–	–	–	–
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	14,552	–	–	14,552	1,702	–	–	1,702
გადახდა და სხვა მოძრაობები (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით)	(7,514)	–	–	(7,514)	(4,465)	–	–	(4,465)
ჩამოწერები	–	–	–	–	–	–	–	–
31 დეკემბრის								
მდგომარეობით	32,684	–	–	32,684	25,646	–	–	25,646

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2024				2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	14,819	–	–	14,819	–	–	–	–
გადატანა 1-ელ ეტაპზე	–	–	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-2 სტადიაზე	(2,305)	2,305	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(464)	–	464	–	–	–	–	–
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული ფინანსური აქტივები	26,076	–	–	26,076	14,819	–	–	14,819
გადატანა მე-2 სტადიაზე	(343)	343	–	–	–	–	–	–
გადატანა მე-3 სტადიაზე	(117)	–	117	–	–	–	–	–
გადახდა და სხვა მოძრაობები (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით)	(6,936)	(986)	(100)	(8,022)	–	–	–	–
აღდგენა	–	–	–	–	–	–	–	–
ჩამოწერები	–	–	–	–	–	–	–	–
31 დეკემბრის მდგომარეობით	30,730	1,662	481	32,873	14,819	–	–	14,819

კრედიტის ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - ბიზნეს სესხები	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	975,640	41,715	10,596	1,027,951	891,854	36,906	10,952	939,712
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	24,490	11,270	3,519	39,279	36,149	14,912	3,657	54,718
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	–	8,657	6,699	15,356	–	7,015	4,414	11,429
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	–	–	26,023	26,023	–	–	16,433	16,433
სულ ბიზნეს სესხები, მთლიანი	1,000,130	61,642	46,837	1,108,609	928,003	58,833	35,456	1,022,292
ზარალის რეზერვი	(4,800)	(5,105)	(14,935)	(24,840)	(4,672)	(5,226)	(14,534)	(24,432)
საბალანსო ღირებულება	995,330	56,537	31,902	1,083,769	923,331	53,607	20,922	997,860

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კრედიტის ხარისხის ანალიზი (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - სამომხმარებლო სესხები	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	138,604	1,505	2,012	142,121	134,984	1,476	970	137,429
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	4,301	857	419	5,577	2,427	446	525	3,398
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	-	1,848	250	2,098	-	1,491	541	2,033
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	5,018	5,018	-	-	3,609	3,609
სულ სამომხმარებლო სესხები, მთლიანი	142,905	4,210	7,699	154,814	137,411	3,413	5,645	146,469
ზარალის რეზერვი	(1,000)	(935)	(4,770)	(6,705)	(692)	(383)	(3,132)	(4,207)
საბალანსო ღირებულება	141,905	3,275	2,929	148,109	136,719	3,030	2,513	142,262

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - იპოთეკური სესხები	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	105,851	1,217	283	107,351	90,258	3,888	424	94,569
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	252	101	79	432	1,518	896	144	2,559
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	-	365	1,187	1,552	-	659	-	659
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	431	431	-	-	1,608	1,608
სულ იპოთეკური სესხები, მთლიანი	106,103	1,683	1,980	109,766	91,776	5,443	2,176	99,395
ზარალის რეზერვი	(169)	(103)	(331)	(603)	(179)	(236)	(1,163)	(1,578)
საბალანსო ღირებულება	105,934	1,580	1,649	109,163	91,597	5,207	1,013	97,817

მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - სალომზარდო სესხები	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	32,684	-	-	32,684	25,646	-	-	25,646
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	-	-
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	-	-
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	-	-	-	-	-	-	-
სულ სალომზარდო სესხები, მთლიანი	32,684	-	-	32,684	25,646	-	-	25,646
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება	32,684	-	-	32,684	25,646	-	-	25,646

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კრედიტის ხარისხის ანალიზი (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ვადაგადაცილების გარეშე	30,515	534	428	31,477	13,196	–	–	13,196
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	215	–	53	268	1,623	–	–	1,623
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	–	1,128	–	1,128	–	–	–	–
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	–	–	–	–	–	–	–	–
სულ სალომზარდო სესხები, მთლიანი	30,730	1,662	481	32,873	14,819	–	–	14,819
ზარალის რეზერვი	(22)	(66)	(48)	(136)	(30)	–	–	(30)
საბალანსო ღირებულება	30,708	1,596	433	32,737	14,789	–	–	14,789

ტერმინების განმარტება: 1-ლი სტადია, მე-2 სტადია, მე-3 სტადია შესულია 3(დ)(iv) შენიშვნაში.

მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხის დაუფარავი სახელშეკრულებო თანხები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი, მაგრამ მათზე მაინც ვრცელდება იძულებითი აღსრულების ღონისძიება შეადგენდა 4,203 ლარს (2023 წ.: 4,154 ლარი).

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს მე-2 და მე-3 სტადიის აქტივებს, რომლებიც პერიოდის განმავლობაში შეიცვალა. მათთან დაკავშირებით ბანკს მოდიფიცირებით გამოწვეულ არსებული ზარალი არ განუცდია.

	2024	2023
პერიოდის განმავლობაში მოდიფიცირებული სესხები		
პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურირებული სესხები	13,145	8,394
საწყისი აღიარების შემდეგ მოდიფიცირებული სესხები		
რესტრუქტურირებული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლისთვისაც სტადია შეიცვალა		
(1-ლი სტადია) ბოლო 12 თვის განმავლობაში	4,772	1,344
რესტრუქტურირებული 1-ლი სტადიის სესხების რისკის ზომა	12,404	11,171

უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებების არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად შეფასებული მე-3 სტადიის სამომხმარებლო სესხებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა შემდეგი ოდენობით მაღალი შემდეგი ოდენობით:

	2024	2023
ბიზნეს სესხები	4,117	11,929
სამომხმარებლო სესხები	1,931	622
იპოთეკური სესხები	235	703
იჯარა	433	–
სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	6,716	13,254

ბანკი არ აწარმოებს კოლექტიურად შეფასებული სესხების უზრუნველყოფის შეფასებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	55,894	41,420
ანგარიშები სებ-ში	21,808	19,758
სულ მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	26,662	18,240
ვადიანი ანაზრები საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღემდე ვადით	15,000	–
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	119,364	79,418

სხვა საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშების საკრედიტო რეიტინგი ასე გამოიყურება:

	2024	2023
„A“-დან „A+“-მდე რეიტინგით	1,716	241
„BBB“-დან „BBB+“-მდე რეიტინგით	–	795
„BB“-დან „BB+“-მდე რეიტინგით	24,497	16,813
„B“-დან „B+“-მდე რეიტინგით	–	90
რეიტინგის გარეშე	449	301
სულ მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	26,662	18,240

საკრედიტო დაწესებულებებში 90 დღემდე ვადიანი ანაზრების საკრედიტო რეიტინგი ასე გამოიყურება:

	2024	2023
„BB“-დან „BB+“-მდე	15,000	–
სულ მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	15,000	–

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონია საბანკო ანგარიშები (2023 წ.: ერთი საბანკო ანგარიში), რომლის ნაშთი საკუთარი კაპიტალის 10%-ს აღემატება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი ფულადი სახსრების ეკვივალენტებს 1-ელ სტადიას განაკუთვნებს ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოვლენის მიზნებისთვის (2023 წლის 31 დეკემბრის: 1-ლი სტადია). ხელმძღვანელობის შეფასებით საანგარიშგებო თარიღში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია.

7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	2024	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		
კორპორაციული ფასიანი ქაღალდები	135,107	140,986
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	35,141	16,781
საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	11,866	–
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	182,114	157,767
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(178)	(182)
სულ წმინდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	181,936	157,585

ბანკი ფლობს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და კორპორაციული ემიტენტების მიერ გამოშვებულ სავალ ფასიანი ქაღალდების პორტფელს.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები საბალანსო ღირებულებით 75,514 ლარი (2023 წ.: დაუგირავებელი) გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფად (მე-13 შენიშვნა).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

ყველა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი გამოხატულია ლარში და მათი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი და ვადა ასეთია:

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	დაფარვის ვადა
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7-12	2025-2031	8-14	2025-2028

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული არ არის. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს 1-ელ სტადიას განაკუთვნებს ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოვლენის მიზნებისთვის (2023 წ.: 1-ლი სტადია).

მომდარბა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო ზარალის რეზერვში (21) ლარს (2023 წ.: 135 ლარი) შეადგენს.

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

	2024	2023
ბიზნეს სესხები	1,108,609	1,022,292
სამომხმარებლო სესხები	154,814	146,469
იპოთეკური სესხები	109,766	99,395
სალომბარდო სესხები	32,684	25,646
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,405,873	1,293,802
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-5 შენიშვნა)	(32,148)	(30,217)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა	1,373,725	1,263,585
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	32,873	14,819
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (მე-5 შენიშვნა)	(136)	(30)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	32,737	14,789
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	1,406,462	1,278,374

ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და სესხების კრედიტის ხარისხის შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

(ა) მომხმარებლებზე გაცემული სესხის ინდუსტრიული და გეოგრაფიული ანალიზი და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მეტწილად მოიცავს სესხებს, რომლებიც გაიცა საქართველოს ეკონომიკის შემდეგ დარგებში მოქმედ მომხმარებლებზე:

	2024	2023
ვაჭრობა და მომსახურება	567,288	497,813
მშენებლობა	352,546	300,987
ფიზიკური პირები	264,581	245,862
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამამუშავება	167,481	164,362
ოქროს ლომბარდი	32,684	25,646
ჯანდაცვა	31,707	31,296
საფინანსო დაწესებულებები	5,248	10,727
ენერგეტიკა	3,557	15,150
სხვა	13,654	16,778
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,438,746	1,308,621

39,213 ლარის სესხები (2023 წ.: არცერთი) დაგირავებულია სებ-სგან მიღებული სესხების ფარგლებში. იხილეთ მე-13 შენიშვნა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)**(ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის კრედიტები**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის არცერთი მსესხებლის ნაშთი აღემატებოდა კაპიტალის 10%-ს (2023 წ.: არცერთი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის სესხების კონცენტრაცია წარმოადგენდა ათ უმსხვილეს მსესხებელზე გაცემულ 97,919 ლარს (2023 წ.: 99,764 ლარი). აღნიშნული სესხებისათვის აღიარდა 317 ლარის ოდენობის რეზერვი (2023 წ.: 258 ლარი).

(გ) უზრუნველყოფის საგნისა და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებების ანალიზი

მომხმარებლის ზოგადი კრედიტუნარიანობა მისთვის გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. თუმცა, უზრუნველყოფის საგანი დამატებით გარანტიებს ქმნის და ბანკი, როგორც წესი, მსესხებლებისგან მოითხოვს უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენას.

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ბანკმა შეიმუშავა უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ფასს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას საბაზისო შეთანხმების შესაბამისად და აკონტროლებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის მიმოხილვის პროცესში მიღებულ უზრუნველყოფის საბაზრო ფასს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის საგნები, საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, გაუფასურების გამოკლებით, უზრუნველყოფის საგნის ტიპების მიხედვით:

წმინდა რისკის ზომა						
	უმრავი ქონება	ფულადი უზრუნველ- ყოფა	სხვა	უზრუნველ- ყოფის გარეშე	ძვირფასი ლითონები	სულ
2024 წლის 31 დეკემბრის						
ბიზნეს სესხი	985,098	10,944	58,250	29,477	–	1,083,769
სამომხმარებლო სესხი	49,446	9,257	46,906	42,500	–	148,109
იპოთეკური სესხი	108,915	175	73	–	–	109,163
ოქროს ლომბარდი	–	–	9,735	–	22,949	32,684
იჯარა			32,737			32,737
სულ	1,143,459	20,376	147,701	71,977	22,949	1,406,462

წმინდა რისკის ზომა						
	უმრავი ქონება	ფულადი უზრუნველ- ყოფა	სხვა	უზრუნველ- ყოფის გარეშე	ძვირფასი ლითონები	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის						
ბიზნეს სესხი	908,074	19,393	48,150	21,867	376	997,860
სამომხმარებლო სესხი	43,111	9,510	44,120	45,521	–	142,262
იპოთეკური სესხი	97,585	161	71	–	–	97,817
ოქროს ლომბარდი	–	–	15,829	–	9,817	25,646
იჯარა			14,789			14,789
სულ	1,048,770	29,064	122,959	67,388	10,193	1,278,374

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

(გ) უზრუნველყოფის საგნისა და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებების ანალიზი (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული ცხრილები გამორიცხავს სესხის ზედმეტად უზრუნველყოფას. თუ სესხს სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფა აქვს, ინფორმაცია წარმოდგენილია იმ უზრუნველყოფის საგანზე, რომელიც გაუფასურების შეფასებისთვის ყველაზე აქტუალურია. უზრუნველყოფის გარეშე სესხების უმრავლესობა წარმოადგენს სახელფასო სესხებს, რომლებიც მოიცავს პერსონალური გარანტიით უზრუნველყოფილ სესხებს.

(დ) დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგანი

დასაკუთრებული აქტივები მეტწილად წარმოადგენს უძრავ ქონებას და ოქროს აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები აღიარდება როგორც მარაგები, რომლებიც თავდაპირველად თვითღირებულებით, ხოლო შემდგომში თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით ფასდება. ბანკის პოლიტიკა გულისხმობს დასაკუთრებული აქტივების შეძლებისდაგვარად მალე რეალიზაციას.

2024 წლის განმავლობაში ბანკმა შეისყიდა დასაკუთრებული აქტივები 23,631 ლარის (2023 წ.: 6,413 ლარი) ოდენობით და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვები 5,253 ლარის (2023 წ.: 10,728 ლარი) ოდენობით. ბანკმა მიიღო 228 ლარის ოდენობით შემოსულობა დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან (2023 წ.: 3,951 ლარის შემოსულობა).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ფლობდა დასაკუთრებულ უზრუნველყოფას საბალანსო ღირებულებით 15,864 ლარი (2023 წ.: ნული), რომელიც წინა მფლობელებთან გამოსყიდვის ხელშეკრულებების საგანია. ამ ხელშეკრულებების პირობების საფუძველზე, წინა მფლობელები იტოვებენ დასაკუთრებული აქტივების გამოსყიდვის უფლებას დასაკუთრების თარიღში შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულების ტოლი ან მასზე მეტ ფასად. გამოსყიდვის უფლებით სარგებლობა ჩვეულებრივ შეიძლება დასაკუთრების თარიღიდან 6-დან 24 თვემდე პერიოდში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

მიწა	შენობა- ნაგებო- ბები	საოფისე და კომპი- უტერული ტექნიკა	ავტოსატ- რანსპორ- ტო საშუ- ალებები	ავეჯი და სხვა გრძელვა- დიანი აქტივები	საიჯარო ქონების გაუმჯობე ლება	აქტივის გამოყენე- ბის უფლება	სულ
თვითღირებულება							
2023 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	449	16,171	7,221	1,234	14,007	4,631	54,301
შესყიდვები	-	3,311	487	223	2,556	493	8,496
გასვლა	-	(15)	-	-	-	(547)	(2,623)
2023 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	449	19,467	7,708	1,457	16,563	4,577	60,174
2024 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	449	19,467	7,708	1,457	16,563	4,577	60,174
შესყიდვები	-	1,489	199	132	3,344	189	7,079
გასვლა	-	(424)	-	(20)	(143)	(6)	(1,555)
2024 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	449	20,532	7,907	1,569	19,764	4,760	65,698
დაგროვილი ცვეთა							
2023 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	-	5,382	6,623	887	10,287	3,157	30,242
ცვეთის დარიცხვა	-	373	375	171	907	373	3,703
გასვლა	-	(8)	-	-	-	(547)	(1,196)
2023 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	-	5,747	6,998	1,058	11,194	2,983	32,749
2024 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	-	5,747	6,998	1,058	11,194	2,983	32,749
ცვეთის დარიცხვა	-	440	224	144	1,194	423	4,014
გასვლა	-	(161)	-	(4)	(144)	(4)	(930)
2024 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	0	6,025	7,222	1,199	12,245	3,401	35,834
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 1 იანვარი	449	10,789	598	347	3,720	1,474	24,059
2023 წლის 31 დეკემბერი	449	13,720	710	399	5,369	1,594	27,425
2024 წლის 31 დეკემბერი	449	14,507	685	370	7,519	4,975	29,864

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული აქტივების სააღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 18,102 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 17,339 ლარს.

მომავალი საიჯარო გადახდები ყოველი მომდევნო ხუთი წლისთვის 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის იყო შემდეგი:

	საიჯარო ვალდებულებები	
	2024	2023
ერთი წლის განმავლობაში	2,412	2,320
1-დან 2 წლამდე	1,713	2,169
2-დან 3 წლამდე	936	1,429
3-დან 4 წლამდე	609	662
4-დან 5 წლამდე	394	397
	6,064	6,977

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

20,374 ლარის გუდვილი სრულად უკავშირდება 2008 წელს სს „სტანდარტ ბანკის“ შეძენას.

ბანკი მიიჩნევს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნება გამოყენების ღირებულებას, რომელიც ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების გამოყენებით.

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები წარმოდგენილია ქვემოთ. დაშვებების საფუძველზე მიღებული ძირითადი რიცხობრივი მაჩვენებლები წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საბანკო სექტორში მომავალი ტენდეციების შეფასებას, ქვეყნის ეკონომიკის საპროგნოზო ზრდის განაკვეთს და ისინი ეფუძნება გარე და შიდა წყაროებიდან მიღებულ განვლილ მონაცემებს.

პროგნოზები	2024	2023
დისკონტირების განაკვეთი	18.8%	19.6%
თავისუფალი ფულადი ნაკადების ბიუჯეტირებული ზრდის ტემპი (მომდევნო ხუთი წლის საშუალო მაჩვენებელი)	19.9%	17.3%
საბოლოო ღირებულების ზრდის ტემპი	6.0%	5.0%

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსალოდნელმა ანაზღაურებადმა ღირებულებამ მის საბალანსო ღირებულებას გადააჭარბა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი დაშვებების გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილება არ გამოიწვევს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადაჭარბებას.

მომართა არამატერიალურ აქტივებში, რომლებიც კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფებს და ლიცენზიებს მოიცავს, ასე გამოიყურება:

	პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები
თვითღირებულება	
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	29,285
შესყიდვები	2,416
გასვლა	–
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,701
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	31,701
შესყიდვები	8,898
გასვლა	(169)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,430
დაგროვილი ამორტიზაცია	
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,276
ამორტიზაციის დანარიცხი	1,570
გასვლა	–
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,846
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,846
ამორტიზაციის დანარიცხი	2,524
გასვლა	(169)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,201
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება	
2023 წლის 1 იანვარი	4,009
2023 წლის 31 დეკემბერი	4,855
2024 წლის 31 დეკემბერი	11,229

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

თავის საოპერაციო საქმიანობებსა და შეთავაზებულ მომსახურებებში თანამედროვე IT ინფრასტრუქტურის მაღალი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკმა ინვესტიცია განახორციელა საკუთარი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობების ზრდაში. ბანკმა შეიმუშავა შიდა პროცესები, ადგილობრივად შექმნილი IT გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დანახარჯების საიმედოდ აღრიცხვისა და კაპიტალიზაციისთვის, ბასს (IAS) 38 მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ბანკმა განახორციელა ადგილობრივად შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტილებების კაპიტალიზაცია 5,549 ლარის ოდენობით 2024 წელს.

11. სხვა აქტივები

	2024	2023
ბანკებში განთავსებული საგარანტიო ანაზღაურებები	2,906	2,282
მოთხოვნები	3,772	1,203
მოგება-ზარალი სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	157	–
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით	106	185
სხვა	193	146
სულ სხვა ფინანსური აქტივები	7,134	3,816
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	369	785
სხვა გადახდილი ავანსები	2,485	1,313
ყველა სხვა აქტივი	9,988	5,914

ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში ფორვარდული ხელშეკრულებების სამართლიან ღირებულებას, რომლებიც აღირიცხება როგორც აქტივები ან ვალდებულებები (2023 წლის 31 დეკემბერს: შესული იყო სხვა ვალდებულებებში), მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საიჯარო აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს განუხორციელებელ ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებები	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	პირობითი თანხა	სამართლიანი ღირებულება	პირობითი თანხა	სამართლიანი ღირებულება
ლარის გაყიდვა ევროს ყიდვა	14,357	378	49,732	(515)
ლარის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა	10,800	(136)	2,688	(3)
აშშ დოლარის გაყიდვა ევროს ყიდვა	26,351	(15)	41,481	(169)
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა	5,614	(20)		
შვეიცარიული ფრანკის გაყიდვა და ევროს ყიდვა	9,335	(50)		
	66, 457	157	51,508	(687)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. დაბეგვრა

	2024	2023
მიმდინარე გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წელი	3,906	6,406
მოძრაობა დროებით სხვაობებში წარმოშობის გამო და დროებითი სხვაობების გაუქმება	1,422	(1,356)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	5,328	5,050

ბანკის შემოსავლის შესაბამისი მოგების გადასახადი განაკვეთია 20% (2023 წ.: 20%). მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ მოცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით მოგების გადასახადის სარგებლის ფაქტობრივთან შეჯერება:

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2024	%	2023	%
მოგება დაბეგვრამდე	36,167		34,883	
მოგების გადასახადი სათანადო საგადასახადო განაკვეთით	7,233	20	6,977	20
ცვლილება კანონმდებლობის ცვლილების გამო არ აღიარებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებში (მე-3 შენიშვნა)	-	-	43	-
(დაუბეგრავი შემოსავალი) / (დაუბეგრავი ხარჯები)	(2,518)	(5)	(2,417)	(7)
სხვა დაუბეგრავი ხარჯები	613	-	447	1
	5,328	15	5,050	14

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობები შესაბამისი წლებისთვის შედგებოდა:

	2023 წლის 1 იანვარი	მოგება- ზარალში აღიარებუ- ლი	2023 წლის 31 დეკემბერი	მოგება- ზარალში აღიარებუ- ლი	2024 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ვალდებულებები	1,393	(272)	1,121	(13)	1,108
დასაკუთრებული აქტივები	1,036	(299)	737	(378)	359
სუბორდინირებული ვალი	(52)	74	22	16	38
სხვა აქტივები	11	-	11	-	11
სხვა ვალდებულებები	(117)	135	18	259	277
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,271	(362)	1,909	(116)	1,793
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	(11)	(77)	(88)	-	(88)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(312)	(45)	(357)	(60)	(417)
სხვა არამატერიალური აქტივები	603	(281)	322	(1,043)	(721)
აქტივის გამოყენების უფლება	(1,336)	300	(1,036)	41	(995)
შენიშნული-ნაგებობები და მოწყობილობები	(1,442)	(703)	(2,145)	(244)	(2,389)
მომხმარებელზე გაცემული სესხები	(2,524)	2,524	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(5,022)	1,718	(3,304)	(1,306)	(4,610)
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	(2,751)	1,356	(1,395)	(1,422)	(2,817)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავანსად გადახდილი მოგების გადასახადი 5,511 ლარის (2023 წლის 31 დეკემბერს: 2,454 ლარი) ოდენობით, წარმოადგენს მოგების გადასახადის ვალდებულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები

	ვალუტა	დაფარვის წელი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სესხი სებ-სგან	ლარი	2025	110,342	–
Nederlandse FinancieringsMaatschappij Voor Ontwikkelingslanden N.V. (FMO)	ლარი	2026–2028	103,554	109,174
Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft (DEG)	ევრო	2025–2029	74,574	27,742
ResponsAbility SICAV (Lux)	ევრო	2025–2027	40,964	25,723
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	ევრო	2029–2030	17,113	17,876
ResponsAbility SICAV (Lux)	აშშ დოლარი	2026	14,327	24,386
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (SBTDB)	აშშ დოლარი	2025	14,122	–
საიჯარო ვალდებულებები	აშშ დოლარი	2025–2033	5,357	5,317
საიჯარო ვალდებულებები	ლარი	2026–2030	184	287
სულ			380,537	210,505

სესხები სებ-სგან 3 თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით გამოიყენებიან ლიკვიდობის მართვის პროცესებში გამოყენებულ ინსტრუმენტს. 2024 წლის მდგომარეობით ეს სესხები უზრუნველყოფილი იყო მომხმარებელზე გაცემული სესხებით 49,016 ლარის (2023 წ.: ნული ლარი) ოდენობით და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით 75,514 ლარის (2023 წ.: ნული ლარი) ოდენობით. იხილეთ მე-7 და მე-8 შენიშვნები.

სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების საგანს წარმოადგენს, რომლებიც ცნობილია „კრედიტორის პირობების“ სახელწოდებით. ეს კრედიტორის პირობები ჩვეულებრივ მსესხებლისგან მოითხოვს კონკრეტული ფინანსური კოეფიციენტების და ინდიკატორების, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური ზღვარის, ლიკვიდობის, სავალუტო რისკის ზომის, კრედიტის კონცენტრაციის, ლევერიჯის, ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტების და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური საზომების შენარჩუნებას. თითოეული სესხის გამცემი განსაზღვრავს საკრედიტო პირობების საკუთარ კრიტერიუმებს და მონიტორინგის ჩარჩოს. ყველა საკრედიტო პირობის მოთხოვნებთან შესაბამისობა კვარტალში ერთხელ გადაიხედება და ინფორმაციის სახით წარედგინება შესაბამის სესხის გამცემებს. ეს ვალდებულებები აქტიურად იმართება სრული და უწყვეტი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სესხის გამცემის საკრედიტო პირობები სრულად იყო დაკმაყოფილებული. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის შეფასებით საკრედიტო პირობების დარღვევის რისკი უმნიშვნელოა მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

14. სუბორდინირებული სესხები

	ვალუტა	დაფარვის წელი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სესხი 1	აშშ დოლარი	უვადო	18,946	18,148
სესხი 2	აშშ დოლარი	უვადო	18,376	17,608
სესხი 3	ევრო	2029	17,981	18,251
სესხი 4	აშშ დოლარი	2029	12,971	12,433
სესხი 5	ევრო	2027	9,075	9,211
სესხი 6	აშშ დოლარი	2029	5,615	5,380
სესხი 7	აშშ დოლარი	2025	3,186	1,856
სესხი 8	ევრო	2025	1,466	1,488
სესხი 9	აშშ დოლარი	2025	1,404	1,345
სესხი 10	აშშ დოლარი	2027	1,404	1,345
სესხი 11	აშშ დოლარი	2026	1,127	1,621
სესხი 12	აშშ დოლარი	2029	898	861
სესხი 13	აშშ დოლარი	2025	855	1,631
სესხი 14	აშშ დოლარი	2024	–	8,070
			93,304	99,248

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. სუბორდინირებული სესხები (გაგრძელება)

გაკორტების შემთხვევაში სუბორდინირებული ნასესხები სახსრების დაფარვა განხორციელდება ბანკის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

სესხი 1 და სესხი 3 წარმოადგენს დამატებითი ძირითადი კაპიტალის (AT1) ინსტრუმენტს ჩამოწერის ფუნქციით, რომელიც უვადოდ არის სუბორდინირებული და მარეგულირებელი მიზნებისთვის შესულია ბანკის კაპიტალში, და მისი საპროცენტო განაკვეთია 12%.

სესხის 3 საპროცენტო განაკვეთია 6.5%. სესხი 4 მოიცავს ორ სესხს - 6,973 ლარის და 5,998 ლარის ოდენობით, რომელთა საპროცენტო განაკვეთია 6% და 8%, შესაბამისად.

არცერთი სუბორდინირებული სესხი არ არის უზრუნველყოფილი ბანკის აქტივებით.

სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებებში წარმოდგენილი არ არის კონვერტაციის თვისებები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოძრაობები ვალდებულებებში, რომლებიც აღრიცხულია, როგორც დაფინანსება წარმოდგენილი პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

	სესხები საფინანსო დაწესებულებიდან	საიჯარო ვალდებულებები	სუბორდინირებული სესხები	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	204,901	5,604	99,248	309,753
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	170,701	(2,007)	(8,423)	160,271
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	212,688	–	1,183	213,871
სესხების დაფარვა	(41,987)	–	(9,606)	(51,593)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	–	(2,007)	–	(2,007)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირება წმინდა მოძრაობა საპროცენტო განაკვეთში, საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობის/(ზარალის) ჩათვლით	(1,736)	186	2,442	892
შესყიდვა	–	1,726	–	1,726
საიჯარო ვალდებულებების და სუბორდინირებული სესხების მოდიფიცირება	–	(367)	9	(358)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	374,996	5,541	93,304	473,841

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან (გაგრძელება)

	სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან	საიჯარო ვალდებულებები	სუბორდინირებული სესხები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	253,589	6,965	75,808	336,362
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(51,825)	(1,909)	20,808	(32,926)
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	86,290	–	22,136	108,426
სესხების დაფარვა	(138,115)	–	(1,328)	(139,443)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	–	(1,909)	–	(1,909)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირება წმინდა მოძრაობა საპროცენტო განაკვეთში, საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობის/(ზარალის) ჩათვლით	339	448	957	1,744
გასვლა	–	(1,137)	–	(1,137)
შესყიდვა	–	1,426	–	1,426
საიჯარო ვალდებულებების და სუბორდინირებული სესხების მოდიფიცირება	–	(179)	327	148
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	204,901	5,604	99,248	309,753

16. ანაზრები და ნაშთები საკრედიტო დაწესებულებებისგან

	2024	2023
ვადიანი ანაზრები საკრედიტო დაწესებულებებისგან	23	109
სხვა საკრედიტო დაწესებულებების მოკლევადიანი განთავსებები	5,055	10,054
სულ ანაზრები და ნაშთები საკრედიტო დაწესებულებებისგან	5,078	10,163

ვადიანი ანაზრები ბანკებისგან 2024 წელს მეტწილად ლარშია გამოხატული.

17. მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან

	2024	2023
ვადიანი დეპოზიტები	967,943	830,285
მიმდინარე ანგარიშები	214,701	269,363
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	1,182,644	1,099,648
უზრუნველყოფის სახით ფლობილი გაცემულ გარანტიებსა და აკრედიტივებზე	15,020	8,855

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავდა 4 მომხმარებელი (2023 წ.: 4 მომხმარებელი), რომელთა ნაშთები ინდივიდუალურად აჭარბებს საკუთარი კაპიტალის 10%-ს. ეს ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 227,863 ლარს შეადგენდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან (გაგრძელება)

მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან მოიცავს შემდეგ სახის მომხმარებლებს:

	2024	2023
ფიზიკური პირები	530,787	485,352
კერძო საწარმოები	326,104	316,797
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	325,753	297,499
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	1,182,644	1,099,648

მომხმარებლების წინაშე ვალდებულებების ანალიზი ეკონომიკური სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება:

	2024	2023
ფიზიკური პირები	530,787	485,354
სახელმწიფო ორგანიზაციები	325,753	297,498
ვაჭრობა და მომსახურება	162,482	148,040
მშენებლობა	71,435	77,308
დაზღვევა	35,414	38,990
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	18,429	5,273
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	5,522	17,706
სამთო მრეწველობა	153	224
ენერგეტიკა	47	86
სხვა	32,622	29,169
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	1,182,644	1,099,648

18. სხვა ვალდებულებები

	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოების დარიცხული დანახარჯები	8,223	5,926
სახსრები დაფარვაში	3,190	1,078
ფინანსური ვალდებულებები მიღებული მომსახურებიდან	1,031	1,550
ანგარიშსწორება პლასტიკურ ბარათზე და ფულადი გზავნილების ოპერაციებზე	810	2,409
გარანტიების და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანარიცხები	461	909
ფინანსური ვალდებულება საიჯარო ოპერაციებიდან	291	306
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	–	687
სხვა	90	188
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	14,096	13,053
სხვა ანარიცხები	59	59
სხვა	868	514
სულ სხვა ვალდებულებები	15,023	13,626

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. საკუთარი კაპიტალი

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2024	2023
გამოშვებული 1 იანვარს და 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	1,213,720	1,213,720
ნებადართული აქციები - ნომინალური ღირებულება (ლარში)	100	100

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანაბრად ნაწილდება ბანკის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე ბანკის საერთო კრებაზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება. 2024 და 2023 წლებში ბანკს არ გამოუცხადებია დივიდენდების გადახდა.

20. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	171,253	144,289
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14,377	16,867
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,585	3,408
სულ საპროცენტო შემოსავალი	189,215	164,564
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	78,215	60,896
საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	24,822	31,795
სუბორდინირებული ვალები	9,521	2,661
სულ საპროცენტო ხარჯი	112,558	95,352
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	76,657	69,212

21. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

	2024	2023
პლასტიკური ბარათებით შესრულებული ოპერაციები	5,166	4,533
ანგარიშსწორების ოპერაციები	1,527	1,552
მიმდინარე ანგარიშების მომსახურება	1,181	1,146
ფულადი ოპერაციები	670	766
სხვა	258	196
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული გასამრჯელო და საკომისიო, სულ	8,802	8,193
ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები	1,449	1,371
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	10,251	9,564
პლასტიკური ბარათებით შესრულებული ოპერაციები	3,711	3,195
ანგარიშსწორების ოპერაციები	450	536
ფულადი ოპერაციები	45	74
სხვა	783	604
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საკომისიოს დაფარვის მთლიანი ხარჯები	4,989	4,409
ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები	124	59
სულ საკომისიო ხარჯი	5,113	4,468
წმინდა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი	5,138	5,096

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯები (გაგრძელება)**შესასრულებელი ვალდებულებები და ამონაგების აღიარების პოლიტიკა**

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან ხელშეკრულებაში მითითებული საზღაურის საფუძველზე. ბანკი ამონაგებს აღიარებს მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევისას.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათისა და დროულობის, გადახდის მნიშვნელოვანი თარიღების და შესაბამისი ამონაგების აღიარების პოლიტიკის შესახებ.

<i>მომსახურების ტიპი</i>	<i>შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათი და ვადები, მათ შორის, გადახდის მნიშვნელოვანი პირობები</i>	<i>ამონაგების აღიარება ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში</i>
საცალო და კორპორატიული საბანკო მომსახურებები	ბანკი გასწევს საბანკო მომსახურებებს საცალო და კორპორატიული მომხმარებლისთვის, მათ შორის ანგარიშის მართვას, ოვერდრაფტის ხაზის უზრუნველყოფას, უცხოური ვალუტით შესრულებულ ოპერაციებს და მომსახურების საფასურს. მიმდინარე ანგარიშების მართვის საფასური ყოველთვიურად იჭრება მომხმარებლის ანგარიშიდან. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები დაფუძნებული საფასურები ჩანაცვლების, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისა და ოვერდრაფტისთვის მომხმარებლის ანგარიშიდან ჩამოიჭრება ოპერაციის განხორციელებისთანავე.	ამონაგები ანგარიშის მომსახურებიდან და მომსახურების საფასურები აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გაწევისთან ერთად. გარიგებებთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება გარიგების შესრულების მომენტში.

22. წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან

	<i>2024</i>	<i>2023</i>
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობით მიღებული წმინდა შემოსულობა წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციიდან	6,670	3,548
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებებიდან	(255)	78
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებებიდან	1,100	1,693
სულ წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	7,515	5,319

წმინდა შემოსულობა სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებებიდან მოიცავს 699 ლარის (2023 წ.: 1,838 ლარის ოდენობით ნეგატიური ეფექტი) დადებით ეფექტს ანგარიშსწორების თარიღში სპოტ და წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ განაკვეთებს შორის სხვაობისთვის, რაც ასევე წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან წმინდა შემოსულობის ნაწილს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ხარჯები სხვა საბანკო ოპერაციებზე	4,310	2,821
პროფესიული მომსახურება	1,235	1,430
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,126	775
საიჯარო ხარჯები	1,029	981
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები	892	1,209
დაცვის ხარჯი	730	718
კომუნიკაციები	628	604
კომუნალური მომსახურებები	628	603
ტრანსპორტირება და ინკასაცია	599	480
წარმომადგენლობითი ხარჯები	535	639
საოფისე მარაგები	325	363
პლასტიკური ბარათით შესრულებული ოპერაციების ხარჯები	229	201
დაზღვევა	223	250
სამიწვლინებო ხარჯი	199	91
სხვა	970	706
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	13,658	11,871

2024 და 2023 წლებისთვის, საიჯარო ხარჯები მოიცავს დაბალფასიანი და მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეულ ხარჯებს.

აუდიტორის ანაზღაურებამ ბანკის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე 226 ლარი (2023 წ.: 209 ლარი) შეადგინა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს თანამშრომლების საშუალო რაოდენობას 2024 და 2023 წლებში.

	2024	2023
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	5	5
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	51	50
სხვა მუდმივი თანამშრომლები	601	533
სულ მუდმივი თანამშრომლები	657	588
სულ დროებითი თანამშრომლები	58	54
სულ	715	642

24. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

ბანკს აქვს მიმდინარე საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები, რომ გასცეს სესხები. ეს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოდგენილია დამტკიცებული სესხების და საკრედიტო ბარათების ლიმიტების, ასევე ოვერდრაფტის სახით. ბანკი იძლევა ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს მესამე მხარეების წინაშე მომხმარებლების მიერ ვალდებულების შესრულებაზე. ამ ხელშეკრულებებს აქვთ ფიქსირებული ლიმიტები და, როგორც წესი, სამ წლამდე ვადით გაიცემა.

ბანკი საკრედიტო ვალდებულებების აღებისას, ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გაცემისას საკრედიტო რისკის მართვის იმავე პოლიტიკასა და პროცედურებს იყენებს, როგორსაც - მომხმარებლებზე სესხების გაცემისას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები (გაგრძელება)

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში კატეგორიების მიხედვით. ცხრილში საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების თანხები იმ დაშვებით არის წარმოდგენილი, რომ ეს თანხები სრულად არის გაცემული. ცხრილში მოცემული გარანტიებისა და აკრედიტივების თანხები წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომლის აღიარებაც მოხდებოდა საანგარიშგებო თარიღით, კონტრაქტებს საერთოდ რომ ვერ შეესრულებინათ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

	2024	2023
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
ფინანსური გარანტიები	50,093	43,343
სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	50,093	43,343
გამოკლებული: გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ნაღდი ფული	(15,020)	(8,855)
გარანტიების წმინდა ოდენობა	35,073	34,488
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	59,597	62,442

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოუხმობ სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 585 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 624 ლარი) იყო .

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 356 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 769 ლარი) იყო.

25. რისკის მართვა

რისკის მართვა საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ბანკის ოპერაციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, იურიდიულ და რეპუტაციის რისკები.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ბანკის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების დაწესება, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას. ბანკმა შეიმუშავა ანგარიშგების სისტემა მნიშვნელოვან რისკებსა და კაპიტალზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის შიდა დოკუმენტაცია, რომელიც ადგენს ბანკის მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიცირების, მართვისა და სტრუქტურული ტესტირების პროცედურებს და მეთოდოლოგიებს, დაამტკიცა ბანკის უფლებამოსილმა მმართველობითმა უწყებამ, სეზ-ის მიერ გაცემული რეგულაციების და რეკომენდაციების შესაბამისად.

დირექტორთა საბჭო რისკების კომიტეტთან ერთად აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლებაზე, თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვასა და ასევე დიდი კრედიტების დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი პასუხს აგებს რისკების საერთო მართვაზე, საერთო პრინციპების და ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების მეთოდების დანერგვაზე. ამასთან ფინანსური რისკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. რისკების მართვის დირექტორი და ფინანსური დირექტორი პირდაპირ ანგარიშვალდებული არიან გენერალური დირექტორის წინაშე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს რისკების მართვის კომიტეტის პასუხისმგებლობაა ბანკის რისკების ლიმიტებთან და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის კონტროლზე, ბანკის შიდა დოკუმენტაციების შესაბამისად. ბანკის რისკების მართვის პროცედურების ეფექტურობის და მათი თანმიმდევრულად გამოყენების მართვის მიზნით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, რისკების მართვის კომიტეტი და მმართველი უწყებები პერიოდულად იღებენ შიდა აუდიტის თანამშრომლებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, განიხილავენ მათ შინაარსებს და ითვალისწინებენ შემოთავაზებულ პრევენციულ მოქმედებებს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, პორტფელურ და საოპერაციო დონეებზე, იმართება და კონტროლირდება საკრედიტო კომიტეტების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სისტემებით. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ბანკი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განცალკევებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის შესაბამის სფეროში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი გასწევს ზარალს, რადგან მისი მომხმარებლები, კლიენტები ან კონტრაპენტები ვერ შეასრულებენ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის მონიტორინგს ახორციელებს საკრედიტო და რისკის დეპარტამენტები. არსებობს დამტკიცების რამდენიმე დონე კლიენტის სესხის თანხიდან და მთლიანი რისკის ზომიდან გამომდინარე. ბანკი გასწევს საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკის ბანკს უმეტესად ექმნება კონტრაპენტებთან მისი საკრედიტო და სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას. ბანკი ასევე ექვემდებარება გარანტიებიდან, აკრედიტივებიდან და დაუფარავი საკრედიტო ვალდებულებებიდან წარმოქმნილ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკი გარეგანსადაა ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც ბალანსური ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

საკრედიტო რისკის გაკონტროლების მიზნით, პორტფელის ანალიზის მენეჯერი რეგულარულ ანგარიშებს ამზადებს, რომლებსაც საკრედიტო რისკის დეპარტამენტი განიხილავს. მონიტორინგი გულისხმობს მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის შემოწმებას.

ბანკი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა ბანკმა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების ჯგუფზე ან დარგობრივ სეგმენტზე. ბანკმა ცალკეული მსესხებლებისათვის საკრედიტო ლიმიტების დასამტკიცებლად საკრედიტო კომიტეტების სამი დონე შექმნა. თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ლიმიტები განსხვავდება სესხის ტიპის მიხედვით. ფილიალის დონეზე გაიცემა მხოლოდ საცალო სესხები მაქსიმუმ 10 ლარის ოდენობით და მაქსიმუმ 30 ლარის თანხის ავტორიზებული საცალო სესხები (სახელფასო/საკრედიტო ბარათი/ოვერდრაფტი). სასესხო განაცხადებს აფორმებენ კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერების და შემდეგ გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოქმნილი თანხები

ბანკი ყოველ საანგარიშგებო პერიოდში აფასებს საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, რა ითვლება მნიშვნელოვნად განსხვავდება სესხის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებს შორის. ბანკი იყენებს ფინანსური აქტივების ვადაგადაცილების სტატუსს, როგორც უკუსვლის მაჩვენებელი და სხვა თვისებრივი ინდიკატორები იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

საჭიროების შემთხვევაში, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული. ვადაგადაცილებული დღეები განისაზღვრება გადახდის ყველაზე ადრეული თარიღიდან გასული დღეების რაოდენობის დაანგარიშებით, რომელთან მიმართებითაც არ მომხდარა სრული თანხის მიღება.

იმის განსაზღვრისას, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი (ე.ი. ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი) მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ, ბანკი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია გაუმართლებელი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მათ შორის რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის და ანალიზის ჩათვლით, რომელიც ბანკის გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას ეფუძნება.

იმის განსაზღვრად, ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში, ბანკი შემდეგ კრიტერიუმებს იყენებს:

- ▶ 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე დავალიანება;
- ▶ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და ზემოქმედება რესტრუქტურეზებულია;
- ▶ სხვა სისუსტეები, რომლებსაც ბანკი თვლის, რომ ნეგატიური გავლენა ექნება მსესხებლის საქმიანობის შედეგებზე (მაგ. საყურადღებო სიაში შემავალი კლიენტები);
- ▶ კონტამინაციის პრინციპის გამო, კონკრეტული მსესხებლის ყველა დანახარჯი განაწილდება ყველაზე მაღალი საკრედიტო რისკის სტადიაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ამგვარი მსესხებლისთვის, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

დეფოლტის განმარტება

ბანკი სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული რომელიმე კრიტერიუმი:

- ▶ 90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები;
- ▶ გაკოტრების საქმეთწარმოება და/ან სასამართლო საქმე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის მიერ ვალდებულებების მომსახურების უნარზე;
- ▶ მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ▶ თაღლითობის შემთხვევა ან სხვა ფორს-მაჟორული ვითარება, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს მსესხებლის მიერ ვალის დაფარვის უნარზე.

კონტამინაციის ეფექტი მიიჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და დეფოლტის განსაზღვრებად, რომლითაც კონკრეტული მსესხებლის ყველა დავალიანება გადანაწილდება ამგვარი მსესხებლისთვის კონკრეტულ ხელმისაწვდომ ყველაზე მაღალი სტადიაზე საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით; დეფოლტის სტატუსი რეგულარულად (თვეში ერთხელ) ფასდება. ზოგადად სესხი დეფოლტირებულად რჩება, თუ მისი არსებობის მანძილზე ის სულ მცირე ერთხელ იყო დეფოლტირებული, თუმცა ეს შემთხვევები იშვიათად ხდება, რასაც ბანკი ცალკე აფასებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოქმნილი თანხები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- ▶ დეფოლტის ალბათობა (PD);
- ▶ დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- ▶ დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პირველ სტადიაზე არსებული კრედიტის ოდენობებისთვის დაანგარიშდება 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებსა და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებებზე.

დეფოლტის ალბათობის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის გენერირება

ვადაგადაცილებული დღეები უპირატეს ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის განსაზღვრებისთვის, მიგრაციის მატრიცების მარკოვის მოდელში ყველა დაქვემდებარებისთვის. მიგრაციის მატრიცები აიგება ბოლო 60 თვის მონაცემების გამოყენებით და დაანგარიშდება სესხის ნომრების საფუძველზე.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი დრაივერების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება პორტფელისთვის განვლილი მონაცემების ანალიზის გამოყენებით. მან შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობის განაკვეთზე. ანალიზში გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური ცვლადი - საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი.

ბანკი აფასებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტირებული კონტრაქტების მოთხოვნების საპირწონედ. არსებობის მანძილზე გადაუხდეელი სესხების აღდგენილი პორტფელის პროცენტის განსაზღვრად გამოიყენება ძველებური მიდგომა. ამგვარი სესხები ჯგუფდება გადაუხდეელი თვეების მიხედვით და დაფარული ნაწილი უკავშირდება თითოეულ ჯგუფს. იმ პორტფელებისთვის, რომლებიც ბოლო დროს გახდა დეფოლტირებული, მომავალ სავარაუდო დაფარვასთან დაკავშირებული პროგნოზის გასაკეთებლად სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება. და ბოლოს, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დასაანგარიშებლად ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და იყოფა დეფოლტირებულ პორტფელზე.

ანაბრით (ნაღდი ფულით) უზრუნველყოფილი სესხებისთვის და როსესაც ანაბრების ვალუტა განსხვავდება სესხის ვალუტისგან, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება იმ შემთხვევაში, თუ ვალუტა 20%-ით გაუფასურდება. ოქროს სალომბარდო სესხების შემთხვევაში, ზარალი უტოლდება სხვაობას დავალიანებასა და ოქროს გირაოს საგანს შორის, რომელიც გადაფასდება ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ერთი უნციის საშუალო ფასით.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, რომელიც დაანგარიშდება დაგეგმილი სესხებისთვის, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათებისა და საკრედიტო ხაზებისთვის განცალკევებით, თითოეული პერიოდისთვის. სესხის გაცემის მომენტიდან დეფოლტის საშუალო პერიოდის დასაანგარიშებლად ასევე გათვალისწინდება სესხთან დაკავშირებული ქცევა. განვლილი მონაცემების ანალიზმა უჩვენა, რომ ზარალის იდენტიფიცირების პერიოდი 6 თვეს შეადგენს. შესაბამისად, ეს მომენტი გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად, დაგეგმილი ძირითადი თანხის დაფარვების გამოკლებით, საპროგნოზო ვადაგადაცილების თარიღამდე და სამთვლიანი პროცენტის დამატებით, რომელიც ირიცხება ვადაგადაცილების თარიღიდან, იმ თარიღამდე, როდესაც სესხი დეფოლტირებული ხდება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოქმნილი თანხები (გაგრძელება)

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათებისა და საკრედიტო ხაზებისთვის დაანგარიშდება პირდაპირ პირვანდელი მონაცემებით, ამ მიზნით დაანგარიშდება გამოყენების მაჩვენებლები - დამტკიცებული ლიმიტიდან გამოყენებული დავალიანების რაოდენობა - ყველა დეფოლტირებული ოვერდრაფტებიდან და საკრედიტო ბარათებიდან. ასევე იხილეთ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები შენიშვნა (3), (დ) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები.

მოდელირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შეიძლება რამდენიმე მიზეზით შეიცვალოს, რომელთა შორის არის ბაზარზე ვითარების შეცვლა, მომხმარებლების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ უკავშირდება მომხმარებლის არსებული და პოტენციური კრედიტუნარიანობის გაუარესებას. შესაძლოა შეწყდეს ისეთი არსებული სესხი აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა და რესტრუქტურიზებული სესხი აღიარდეს, როგორც ახალი სესხი სამართლიანი ღირებულებით.

ბანკი ახდენს ფინანსური სირთულეების მქონე მომხმარებლებზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციას, სესხის დაბრუნების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ბანკის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, სესხი რესტრუქტურიზდება, თუ მსესხებელმა ბოლო დროს ვერ შეასრულა მის სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები ან თუ არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ გადახდა განეხორციელებინა თავდაპირველად შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობებით და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას.

შეცვლილი პირობები ჩვეულებრივ მოიცავს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, პროცენტის დაფარვის ვადების ცვლილებას და სესხის თავდებობის პირობების ცვლილებას. რესტრუქტურიზაცია საკრედიტო რისკის, დეფოლტისა და კრედიტის გაუფასურების თვისებრივი ინდიკატორია. ამიტომ ბანკი ამგვარ კლიენტს არასტანდარტულად მიიჩნევს და მე-2 სტადიაზე გადადის. განისაზღვრა ზიანის გამოსწორების პერიოდი უმცირესი თანმიმდევრული პერიოდის ექვსი თვის გავლის შემდეგ შეცვლილი გადახდის გრაფიკის მიხედვით რესტრუქტურიზებული დავალიანების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კატეგორიაში გადასვლას.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი განხილულია მე-(5) შენიშვნაში, ფინანსური რისკის მიმოხილვა.

ბანკი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს ფინანსური, ბიზნეს და რეპუტაციული უფლებამოსილების კრიტერიუმების განსაზღვრის და მისი მომხმარებლების, კლიენტების და კონტრაქტების ფინანსური ექსპერტიზის ჩატარების გზით; რისკის ზომაზე ლიმიტის დადგენის გზით, რომლის კისრებაც ბანკს სურს ინდივიდუალური კონტრაქტებისა და გეოგრაფიული და ინდუსტრიული კონცენტრაციებისთვის; ასევე ამგვარ ლიმიტებთან დაკავშირებული მონიტორინგის რისკით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოქმნილი თანხები (გაგრძელება)**

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაციები

ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური აქტივების გეოგრაფიული კონცენტრაცია:

	2024				2023			
	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის		სხვა უცხო ქვეყნები		ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის		სხვა უცხო ქვეყნები	
	საქართველო	ნიზაციის (ეთგო)	სხვა უცხო ქვეყნები	სულ	საქართველო	ნიზაციის (ეთგო)	სხვა უცხო ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	117,125	1,746	493	119,364	78,140	666	612	79,418
სავალდებულო რეზერვები სესხებში	143,289	–	–	143,289	99,030	–	–	99,030
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,402,202	1,759	2,501	1,406,462	1,273,781	2,223	2,370	1,278,374
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	77,961	103,975	–	181,936	47,753	109,832	–	157,585
სხვა ფინანსური აქტივები	7,134	–	–	7,134	3,816	–	–	3,816
	1,747,711	107,480	2,994	1,858,185	1,502,520	112,721	2,982	1,618,223

ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ ბანკს არ ექნება საკმარისად ფინანსური რესურსები პასუხისმგებლობების სწრაფად შესასრულებლად, ან შეუძლია მხოლოდ ამ რესურსების მიღება მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევით. ლიკვიდობის რისკის მართვა აქტივისა და ვალდებულების მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია. რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების და ანგარიშგების განყოფილების, ასევე სახაზინო დეპარტამენტის მიერ. ბენკი ყურადღებით ახორციელებს თავისი აქტივების მიმოხილვას, უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მათ მარტივად კონვერტირებას ფულად სახსრებში, და ის თანმიმდევრულად ახორციელებს როგორც ფულადი სახსრების, ისე ლიკვიდობის დონეების ყოველდღიურ თანმიმდევრულ მიკვლევადობას. დამტკიცებული ლიკვიდობის რისკის მართვის ჩარჩო ახდენს იმის გარანტირებას, რომ ბანკი შეასრულებს თავის გადახდა გადახდის პასუხისმგებლობებს როგორც ტიპიურ, ისე სტრუქტურულ სცენარებში. ბანკი ფლობს მრავალფეროვან დაფინანსების სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკების სამართავად. ეს სახსრები საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან და ადგილობრივი ბანკებიდან მოდის გრძელვადიანი გარიგებების ფარგლებში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

ბანკი ახორციელებს ლიკვიდობის პოზიციის შეფასებას და მართვას, სეზონის მიერ კონკრეტული ლიკვიდობის კოეფიციენტების საფუძველზე. ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR) დაანგარიშდება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (HQLA) კოეფიციენტი წმინდა ფულად გასვლასთან დაკავშირებით, მომდევნო 30 დღის განმავლობაში. ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი აძლიერებს მოკლევადიან მდგრადობას. ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის მთლიანი ლიმიტი 100%-ით განისაზღვრება, სეზონ-ი განსაზღვრავს ლიმიტებს ვალუტაზე ლარისთვის და უცხოური ვალუტებისთვის. აქტივ-პასივების კომიტეტი პასუხს აგებს იმის უზრუნველყოფაზე, რომ საბაზინო განყოფილება სათანადოდ მართავს ბანკის ლიკვიდობის პოზიციას. ლიკვიდობის რისკის პოზიცია და შესაბამისობა შიდა და მარეგულირებელ ლიმიტებთან მჭიდროდ კონტროლირდება ბანკის აქტივ-პასივების კომიტეტის მიერ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა გაამჟღავნა ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის შემდეგი დონეები:

	2024	2023
ეროვნული ვალუტა (ლარი)	100%	122%
უცხოური ვალუტა	178%	131%
სულ	136%	126%

2019 წლის 1 სექტემბრიდან სეზონ-მა დაწერა წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა კომერციული ბანკებისთვის საქართველოში, რომელიც სულ მცირე 100% უნდა იყოს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი დაანგარიშდება, როგორც სტაბილური დაფინანსების ხელმისაწვდომი თანხის კოეფიციენტი სტაბილური დაფინანსების მოთხოვნილ თანხაზე. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მყარი ბუფერი უზრუნველყოფს სტაბილური დაფინანსების წყაროებს უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 124.08%-ს (2023 წ.: 121.40%) შეადგენდა.

ბანკის ლიკვიდობის პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძლიერი იყო, როგორც ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტის, ისე წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მხრივ, რომლებიც აღემატებოდა სეზონის 100%-იან მინიმალურ მოთხოვნას.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებით

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 31 დეკემბრის ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პროფილი, სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე. დაფარვები, რომლებიც შეტყობინებას საჭიროებენ, განიხილება ისე, თითქმის შეტყობინება სასწრაფო წესით იყოს გაცემული. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების სტაბილურობის განვლილ გამოცდილებას. მათი ლიკვიდაცია წარსულში ხდებოდა უფრო ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მითითებული. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ეს ნაშთები შესულია ვადადამდგარ თანხებში, სამ თვეზე ნაკლები პერიოდით:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები საფინანსო დაწესებულებას და ანაზრები და ნაშთები					
ბანკებისგან	127,291	71,426	240,220	2,050	440,987
საიჯარო ვალდებულებები	464	1,340	3,075	662	5,541
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები					
მომხმარებლებისგან	618,214	434,217	125,958	4,255	1,182,644
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14,096	–	–	–	14,096
სუბორდინირებული სესხები	6,610	9,936	86,261	22,184	124,991
წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები					
შემოსვლა	68,282	–	–	–	68,282
გასვლა	(68,125)	–	–	–	(68,125)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	766,832	516,919	455,514	29,151	1,768,416

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)****2023 წლის 31 დეკემბრის**

მდგომარეობით	<3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები საფინანსო დაწესებულება და ანაზღაურები და ნაშთები					
ბანკებისგან	19,546	51,570	200,910	5,460	277,486
საიჯარო ვალდებულებები	431	1,261	3,446	461	5,599
მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურები მომხმარებლებისგან	614,083	396,236	122,136	7,379	1,139,834
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13,053	–	–	–	13,053
სუბორდინირებული სესხები	3,807	15,651	69,985	47,038	136,481
წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები					–
შემოსვლა	94,582	–	–	–	94,582
გასვლა	(95,269)	–	–	–	(95,269)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	650,233	464,718	396,477	60,338	1,571,766

ბანკი ითვალისწინებს ყველა მისი გამოუხმობი ფინანსური ვალდებულების მაქსიმალურ ლიკვიდობის რისკს 3 თვეზე ნაკლები ოდენობით, რადგან ეს არის ყველაზე მცირე პერიოდი, როდესაც შესაძლოა მოხდეს სესხის ვალდებულებების გამოხმობა. თუმცა, განვლილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ბანკი გასწევს ლიკვიდობის რისკს მისი ფინანსური გარანტიებისა და პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მათი სახელშეკრულებო ვადების შესაბამისად:

	<3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი	77,866	12,892	16,874	2,058	109,690
2023 წლის 31 დეკემბერი	72,665	12,444	18,518	2,158	105,785

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი უმეტესწილად წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვლილების დინამიკები და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკზე უკუგების ოპტიმიზაციის გზით.

ბანკი თავის საბაზრო რისკს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებზე სებ-ის გონივრული განაკვეთის მოთხოვნების შესაბამისად. ეს ლიმიტები ყოველდღიურად იმართება და მონიტორინგის პროცესს ზედამხედველობს დირექტორთა საბჭო.

კონკრეტული სესხის ხელშეკრულებები საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს უწესებს ბანკს. 2024 წლის განმავლობაში ბანკი აკმაყოფილებდა ყველა კრედიტორის პირობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ნასესხები სახსრების ერთ ნაწილზე მცოცავი საპროცენტო განაკვეთი ირიცხება, ხოლო ბანკის ანაბრებსა და სესხების უმრავლესობის პორტფელზე ფიქსირებული განაკვეთი ვრცელდება. სეზ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს მინიმალურ მარაგებზე, რომლებსაც ბანკი სეზ-ში ფლობს. ბანკი ასევე ფლობს მომხმარებლებზე გაცემული სესხების პორტფელს, რომლებზეც მცოცავი საპროცენტო შემოსავალი ირიცხება. ფინანსურ აქტივებს უკუეფექტი აქვთ ურთიერთგადაფარვის შესაძლო ზარალზე, ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ნეგატიური მოძრაობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით ცვლილების ეფექტი ბანკის წმინდა შემოსავალზე:

	2024	2023
ფინანსური აქტივები	1,157,982	987,378
ფინანსური ვალდებულებები	(275,731)	(231,202)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის პოზიცია	882,251	756,176
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდა	8,823	7,562
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით შემცირება	(8,823)	(7,562)

სავალუტო რისკი

ბანკი ფლობს რამდენიმე სხვადასხვა ვალუტაში გამოხატულ აქტივებს და ვალდებულებებს. სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სავალუტო რისკის ზომის სტრუქტურა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	37,326	18,558	6,645	941	63,470
სავალდებულო რეზერვები სეზ-ში მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	751,533	421,029	233,900	–	1,406,462
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	181,936	–	–	–	181,936
სხვა ფინანსური აქტივები	1,256	4,120	1,413	345	7,134
სულ აქტივები	972,051	562,093	266,861	1,286	1,802,291
ვალდებულებები					
სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან და საიჯარო ვალდებულებები, ანაბრები და ნაშთები ბანკებისგან	219,105	33,846	132,664	–	385,615
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები მომხმარებლებისგან	597,600	506,933	67,430	10,681	1,182,644
სუბორდინირებული სესხები	–	64,782	28,522	–	93,304
სხვა ფინანსური ვალდებულებები	12,096	325	1,669	6	14,096
სულ ვალდებულებები	828,801	605,886	230,285	10,687	1,675,659
წმინდა საბალანსო პოზიცია	143,250	(43,793)	36,576	(9,401)	126,632
წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	21,300	20,660	(51,138)	9,335	157
წმინდა პოზიცია	164,550	(23,133)	(14,562)	(66)	126,789

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	19,862	11,943	5,698	495	37,998
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	–	79,439	19,591	–	99,030
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	635,827	405,007	237,540	–	1,278,374
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	157,585	–	–	–	157,585
სხვა ფინანსური აქტივები	842	1,065	1,869	40	3,816
სულ აქტივები	814,116	497,454	264,698	535	1,576,803
ვალდებულებები					
სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან და საიჯარო ვალდებულებები, ანაზღაურება ნაშთები ბანკებისგან	120,540	28,094	72,034	–	220,668
მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურება მომხმარებლებისგან	579,070	444,214	74,717	1,647	1,099,648
სუბორდინირებული სესხები	–	70,082	29,166	–	99,248
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13,021	(84)	102	14	13,053
სულ ვალდებულებები	712,631	542,306	176,019	1,661	1,432,617
წმინდა საბალანსო პოზიცია	101,485	(44,852)	88,679	(1,126)	144,186
წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	52,979	38,788	(92,454)	–	(687)
წმინდა პოზიცია	154,464	(6,064)	(3,775)	(1,126)	143,499

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის (გაუფასურება)/გამყარება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ქვემოთ არის მითითებული, იმოქმედებდა საკუთარ კაპიტალზე და მოგებასა და ზარალზე, ქვემოთ ნაჩვენებია ოდენობით. ეს ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გარეშე საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ბანკის აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2024	2023
აშშ-ის 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებით	1,966	515
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებით	(1,966)	(515)
ევროს -ის 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებით	1,238	330
ევროს 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებით	(1,238)	(330)

წლის განმავლობაში მოქმედებდა ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარი	საშუალო განაკვეთი 2024	საშუალო განაკვეთი 2023	საანგარიშგებო სპოტ-განაკვეთი 2024	საანგარიშგებო სპოტ-განაკვეთი 2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შეფასების მეთოდებში გამოყენებულ შემავალ მონაცემებს, ესენია:

- ▶ დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები;
- ▶ დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შემავალი მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ქვემოთ განხილულის გარდა ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

	სამართლიანი ღირებულების შეფასების გამოყენება			
	მნიშვნელოვანი ემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-3 დონე)	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
2024 წლის 31 დეკემბრის				
აქტივები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	119,364	–	119,364	119,364
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში	143,289	–	143,289	143,289
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	1,361,008	1,361,008	1,406,462
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	182,656	–	182,656	181,936
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	157	–	157	157
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები				
ვალდებულებები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის				
სუბორდინირებული სესხები	–	101,907	101,907	93,304
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები				
მომხმარებლებთან	1,141,942	–	1,141,942	1,182,644
საიჯარო ვალდებულებები	5,645	–	5,645	5,541

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	სამართლიანი ღირებულების შეფასების გამოყენება					
	მნიშვნელოვანი ემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-3 დონე)	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება		
2023 წლის 31 დეკემბერს						
აქტივები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79,418	–	79,418	79,418		
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები						
საქართველოს ეროვნულ ბანკში	99,030	–	99,030	99,030		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	–	1,230,593	1,230,593	1,278,374		
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	167,593	–	167,593	157,585		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით	687	–	687	687		
ვალდებულებები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის						
სუბორდინირებული სესხები	–	103,037	103,037	99,248		
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები						
მომხმარებლებთან	1,095,360	–	1,095,360	1,099,648		
საიჯარო ვალდებულებები	5,789	–	5,789	5,604		
	საბალანსო ღირებულება 2024	სამართლიანი ღირებულება 2024	არაღიარებული შემოსულობა / (ზარალი) 2024	საბალანსო ღირებულება 2023	სამართლიანი ღირებულება 2023	არაღიარებული შემოსულობა / (ზარალი) 2023
ფინანსური აქტივები						
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,406,462	1,361,008	(45,454)	1,278,374	1,230,593	(47,781)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	181,936	182,656	720	157,585	167,593	10,008
ფინანსური ვალდებულებები						
მომხმარებლის ანაბრები	1,182,644	1,141,942	40,702	1,099,648	1,095,360	4,288
სუბორდინირებული სესხები	93,304	101,907	(8,603)	99,248	103,037	(3,789)
საიჯარო ვალდებულებები	5,541	5,645	(104)	5,604	5,789	(185)
სულ არაღიარებული ცვლილება სამართლიან ღირებულებაში			(12,739)			(37,459)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები:

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემების შეფასების მეთოდით, მხოლოდ სავალუტო სვოპებს მოიცავს. ისინი ფასდება დღევანდელი ღირებულების ტექნიკების გამოყენებით, ისეთი ემპირიული ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლის სვოპი და ფორვარდული განაკვეთები, საპროცენტო განაკვეთის მრუდეები და კონტრაჰენტების საკრედიტო ხარისხი.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდურია და მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (ე.ი. სამ თვეზე ნაკლები), ასევე მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტებისთვის, საბალანსო ღირებულება განისაზღვრება მოკლევადიანი ხასიათის გამო მათ სამართლიან ღირებულებასთან მიხედვით ან ამ ინსტრუმენტების ხშირი გადაფასებისთვის.

ეს მოიცავს:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- ▶ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომლისთვისაც ხდება სამართლიანი ღირებულების გამყდავენება:

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის შეფასების მოდელში დისკონტირების განაკვეთის სახით გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები, ვალუტა და დარჩენილი დაფარვის ვადა.

ეს მოიცავს:

- ▶ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- ▶ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები
- ▶ მომხმარებლის ანაზრები
- ▶ სუბორდინირებული სესხები
- ▶ საიჯარო ვალდებულებები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის უნდა მოხდეს ხელშეკრულების მიხედვით მათი ამოღება ან დაფარვა.

	2024			2023		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	119,364	–	119,364	79,418	–	79,418
სავალდებულო სარეზერვო ანაბარი სებ-ში	143,289	–	143,289	99,030	–	99,030
მომხმარებელზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	194,021	1,212,441	1,406,462	188,992	1,089,382	1,278,374
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	47,185	134,751	181,936	–	157,585	157,585
სხვა ფინანსური აქტივები	4,831	2,303	7,134	1,648	2,168	3,816
სულ	508,690	1,349,495	1,858,185	369,088	1,249,135	1,618,223
სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან და საიჯარო ვალდებულებები, ანაბრები და ნაშთები						
ბანკებისგან	176,191	209,424	385,615	53,950	166,718	220,668
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები მომხმარებლებისგან	1,055,089	127,555	1,182,644	985,117	114,531	1,099,648
სუბორდინირებული სესხები	7,334	85,970	93,304	9,795	89,453	99,248
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14,096	–	14,096	13,053	–	13,053
სულ	1,252,710	422,949	1,675,659	1,061,915	370,702	1,432,617
წმინდა გეპი	(744,020)	926,546	182,526	(692,827)	878,433	185,606

ბანკის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ვალდებულებებმა მომხმარებლების მიმართ 1,182,644 ლარი (2023 წ.: 1,099,648 ლარი) შეადგინა. წინა ორი წლის ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე ანგარიშების და ვადიანი ანაბრების ნაშთები არ ყოფილა საშუალოდ 248,859 ლარზე (2023 წ.: 245,557 ლარი) და 600,660 ლარზე (2023 წ.: 477,235 ლარი) ნაკლები წინა 24 თვის განმავლობაში, შესაბამისად. მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშებს, რაც ისტორიულად გრძელვადიანი ხასიათის მატარებელია.

28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**(ა) კონტროლი**

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შეიხი ნაჰავან მუზარაკ ალ ნაჰიანი. ინფორმაცია ბანკის მესაკუთრეების შესახებ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**(ბ) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან**

პერსონალზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებლები	3,627	3,146

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გაცემულია სესხი 1,033 ლარის ოდენობით (2023 წ.: 780 ლარი) მის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო განაკვეთი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემულ სესხებზე იყო 6% -სა და 29%-ს შორის (31 დეკემბერი 2023 : 6% და 29%).

2024 წელს, ამ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 64 ლარი (2023 წ.: 17 ლარი) შეადგინა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ ბანკში განათავსა 12,789 ლარის ანაზარი (2023 წ.: 6,942 ლარი). საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე იყო 0,5%-ს და 12,5%-ს შორის. 2024 წელს, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ვადიან ანაზარებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 97 ლარი (2023 წ.: 64 ლარი).

(გ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

	პროცენტი 2024	დაუფარავი ნაშთი 2024	პროცენტი 2023	დაუფარავი ნაშთი 2023
სუბორდინირებული სესხი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან	(1,064)	12,971	(1,352)	20,503
სუბორდინირებული სესხი - AT1 ინსტრუმენტი	(4,256)	37,322	(2,715)	35,756
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები	97	12,789	74	6,942

სუბორდინირებული სესხების პირობები მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

29. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია (i) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი აკმაყოფილებს სებ-ის მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, (ii) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკმა შეძლოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა, და შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და ამის შემდეგ საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან ბანკის მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული რეგულაციის თანახმად (2017 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N100/04), კაპიტალის მოთხოვნები მოიცავდა პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნას (4.5%, 6.0 %, 8.0 შესაბამისად ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი კაპიტალისთვის), კომბინირებულ ბუფერს (კონტრციკლური - 0% და კონსერვაციის ბუფერები - 2.5%) და პილარ 2-ის ბუფერებს. თავდაპირველი რეგულაცია მოიცავდა პილარ 2-ის ბუფერების ეტაპობრივ დანერგვას ოთხწლიან პერიოდში.

2022 წელს სებ-მა განახორციელა ადგილობრივი GAAP-დან ფასს (IFRS) სტანდარტებზე გადასვლის პროექტი. შესაბამისად, 2023 წლიდან ყველა მარეგულირებელი მატრიცა დაანგარიშდა და დაექვემდებარა ფასს (IFRS) სტანდარტებს. ფასს (IFRS) სტანდარტებზე გადასვლის პროცესში, სებ-მა დანერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი. საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი განხორციელდა, როგორც პილარ 2-ის მოთხოვნა და ის სრულად განისაზღვრა პირველადი კაპიტალით.

2023 წლის მარტში სებ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური (საბაზისო) განაკვეთი 1%-ით განესაზღვრა. ბანკი ვალდებული არიან დააგროვონ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის საფუძველზე: 0,25% 2024 წლის მარტისთვის, 0,50% 2025 წლის მარტისთვის, 0,75% 2026 წლის მარტისთვის და სრულად ფაზირებული 1% - 2027 წლის მარტისთვის.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განაკვეთები აღემატებოდა შესაბამის მარეგულირებელ მინიმუმებს.

კაპიტალური ადეკვატურობის კოეფიციენტების დაანგარიშება სებ-ის სააღრიცხვო წესების და კაპიტალის ადეკვატურობის Basel III-ის ჩარჩოს შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2024	2023
ძირითადი კაპიტალი	250,959	226,492
დამატებითი ძირითადი კაპიტალი (AT1)	36,488	34,962
დამატებითი კაპიტალი	42,440	47,348
სულ მარეგულირებელი კაპიტალი	329,887	308,802
რისკით შეწონილი აქტივები	1,608,766	1,402,761
მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები	18.06%	17.90%
სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.51%	22.01%
მინიმალური ძირითადი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები	14.84%	14.55%
ძირითადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	17.87%	18.64%

2023 წელს ბანკმა მიიღო დამატებითი ძირითადი კაპიტალის (AT1) ინსტრუმენტი, დაგეგმილი გაფართოების პროცესის გამარტივების მიზნით. დაფინანსების მიღება მოხდა დაკავშირებული მხარისგან საბაზრო პირობებით.

30. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

ბანკის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. შესაბამისად, ბანკის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყება არ დააკისრებს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან სახდელებს, იმ წლიდან, რომელშიც წარმოიშვა დარღვევა სამი წლის გასვლის შემდეგ.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

31. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 26 მარტს ბანკმა დააფუძნა შვილობილი საწარმო სს „ტერა ლიზინგი“, მისი ლიზინგის ბიზნესის ცალკე საწარმოთ ჩამოყალიბების მიზნით. დაფუძნებისას ბანკმა სს „ტერა ლიზინგში“ 87%-იან წილში 5,500 ლარის შენატანი განახორციელა, ხოლო შპს „ბიზონმა“ ახლად დაფუძნებულ საწარმოში 13%-იან წილში თავისი IT გადაწყვეტილებების და ნოუ-ჰაუს შემოწირულობა განახორციელა. 2025 წლის 26 მარტს „ტერა ლიზინგმა“ ბანკისგან შეისყიდა სალიზინგო პორტფელი წმინდა სააღრიცხვო ღირებულებით 37,265 ლარი და სხვა აქტივები წმინდა სააღრიცხვო ღირებულებით 1,228 ლარი 38,493 ლარის ოდენობით საზღაურად. ამ გარიგების შედეგად საწარმოს შემოსულობა ან ზარალი არ უღიარებია.

სს ტერაბანკი

მმართველობითი ანგარიშგება

2024

სარჩევი

1. ანგარიშვალდებული საწარმო	1
2. ტერაზანკის სტრატეგია	2
3. ძირითადი ფინანსური ინფორმაცია.....	3
4. რისკების მართვა	5
4.1 რისკების სახეები.....	5
4.2 რისკების მიტიგაციის სტრატეგია	8
4.3 რისკის კომიტეტი.....	10
4.4 რისკების მართვის კომიტეტები.....	10
4.5 საკრედიტო რისკები	11
4.6 ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა	13
4.7 აუდიტის კომიტეტი	14
5. არაფინანსური ინფორმაცია	15

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ტერაბანკის“ დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 7 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

15 სექტემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

1. ანგარიშვალდებული საწარმო

სს ტერაბანკი (შემდგომში „ბანკი“) დაარსდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება 2007 წლის 30 დეკემბერს იურიდიული სახელწოდებით „სს კორ ბანკი“. 2016 წლის 23 მაისს „ბანკმა“ შეიცვალა იურიდიული სახელწოდება „სს ტერაბანკად“.

სს ტერაბანკი თითქმის 20 წელია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართულ საბანკო სექტორში. ის ბაზარზე 1999 წლის 10 დეკემბერს გამოჩნდა „საქართველოს აგრო ბიზნეს ბანკის“ სახელწოდებით. 2005 წლის 13 ივნისიდან სახელი შეიცვალა და გახდა „სტანდარტ ბანკი“. 2007 წლის 30 დეკემბერს, არაბულმა „დაბი ჯგუფმა“ პირველი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში და „კორ ბანკი საქართველოს“ ლიცენზია მოიპოვა. 2008 წლის 26 ივნისს კი „სტანდარტ ბანკი“ და „კორ ბანკი საქართველო“ გაერთიანდა და დაერქვა „კორ სტანდარტ ბანკი“, მოგვიანებით კი ქეი-ეს-ბი ბანკი. 2015-2016 წლებში ქეი-ეს-ბი ბანკში სრული რეზიდენცია განხორციელდა, რის შედეგად 2016 წლის 23 მაისიდან შეიცვალა ბანკის ბიზნეს სტრატეგია, ფილიალების კონცეფცია, საკომუნიკაციო სტილი და ახალი სახელი - სს ტერაბანკი დაერქვა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 31 ფილიალი, სერვის ცენტრი, სერვის დესკი და 70 ATM, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო და ფინანსური ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშგებო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სეზ“). „ბანკი“ ფლობს 2008 წლის 25 იანვარს სეზ-ის მიერ გაცემულ გენერალურ საბანკო ლიცენზიას. „ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. წამებულის გამზირი N3, თბილისი 0103, საქართველო.



2024 წელს ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 715 იყო, (437 ქალი, 278 კაცი), ხოლო 2023 წელს 642 (392 ქალი, 250 კაცი).

2. ტერაბანკის სტრატეგია

სს ტერაბანკი მომავალი წლების განმავლობაში აქტიურ მუშაობას აპირებს მის სტრატეგიულ სეგმენტებზე - მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებზე და საცალო სექტორზე.

სს ტერაბანკის სამომავლო სტრატეგიული ბიზნეს მიზნებია:

- ▶ განსაზღვრული მომგებიანობის შენარჩუნება ყოველწლიურად;
- ▶ მიკრო, მცირე და საშუალო, ასევე საცალო სექტორზე საბაზრო წილის გაზრდა;
- ▶ საბანკო მომსახურების უმაღლესი სტანდარტის შექმნა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში და საცალო სექტორის გაზრდა;
- ▶ ციფრულ ბანკინგზე ფოკუსირება
- ▶ მწვანე დაფინანსების განვითარება;

სს ტერაბანკისთვის სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილს წარმოადგენს ხედვის, მისიისა და ღირებულებების განსაზღვრა. ბანკის ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს მისია და ხედვა - რა მიმართულებით მიდის ბანკი და როგორ წარმოუდგენია შემდგომი განვითარება. ღირებულებები კი განსაზღვრავს ბანკის დამოკიდებულებას მომხმარებლების, აქციონერების, კონკურენტებისა და/ან კოლეგების მიმართ.

ხედვა

ბანკის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტში საბანკო მომსახურების უმაღლესი სტანდარტის შექმნა, საცალო სეგმენტის გაზრდა, ასევე გეგმავს მეწარმეებისთვის, მათთან დასაქმებული პირებისთვის და მომხმარებლებისთვის გახდეს რჩეული ბანკი და სანდო პარტნიორი, აქციონერებისთვის - ღირებული ინვესტიცია, თანამშრომლებისთვის - სასურველი დამსაქმებელი და საზოგადოებისთვის - კორპორატიული პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი.

მისია

ბანკის კორპორაციული მისიაა „მეწარმეებისთვის, მათთან დასაქმებული პირების და მომხმარებლებისთვის ცხოვრების გამარტივება, მათი ბიზნეს და პირადი ფინანსური ამოცანების გადაჭრა, რაც გამორჩეული და ინდივიდუალური მომსახურებით მიიღწევა. მეწარმეებისთვის პასუხისმგებლიანი, მოქნილი და ეფექტური მომსახურების გაწევით ჩვენი წვლილი შეგვაქვს ბიზნეს სექტორის და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.“

სს ტერაბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტი, იგეგმება ამ მიმართულებით გაფართოვება და საბაზრო წილის გაზრდა. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების პორტფელი 2024 წელს 871,342 ათასი ლარიდან (2023წ.) 972,099 ათას ლარამდე გაიზარდა (+12%) და ბანკის მთლიანი სესხების პორტფელის დაახლოებით 68% შეადგინა. წარმატების მიზეზი იყო მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინება, მათთვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზება და უფრო ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და მიწოდება.

რაც შეეხება საცალო სეგმენტს, ბანკის მიდგომა იყო მომხმარებლის მომსახურება უმაღლეს დონეზე. კონკურენტულ ბაზარზე ბანკი გამოირჩევა მოქნილობით და თითოეული მომხმარებლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით, რაც განაპირობებს იმას, რომ შედარებით მკაცრი სასესხო რეგულაციების მიუხედავად, საცალო სეგმენტი 2024 წელს 260,926 ათას ლარამდე (+7%) გაიზარდა, 2023 წელს კი 243,674 ათასი ლარი იყო. ამან მთლიანი სესხების პორტფელის დაახლოებით 18% შეადგინა.

3. ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

კლიენტებზე გაცემული სესხები 2024 წელს 10%-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით და 1,438,746 ათასი ლარი შეადგინა (2023 წელს: 1,308,621 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიზინგის პორტფელმა 32,873 ათასი ლარი შეადგინა (2023 წელს 14,819 ათასი ლარი).

2024 წელს კლიენტების დეპოზიტები 8%-ით გაიზარდა და 1,182,644 ათასი ლარი გახდა (2023 წელს: 1,099,648 ათასი ლარი).

2024 წელს ბანკის საოპერაციო შემოსავალმა (წმინდა საპროცენტო შემოსავალი პლუს არასაპროცენტო შემოსავალი) 85,095 ათასი ლარი შეადგინა (2023 წელს: 77,235 ათასი ლარი). 2024 წელს საოპერაციო შემოსავლის 7,860 ათასი ლარით ზრდა საპროცენტო შემოსავლის გაზრდით იყო გამოწვეული. უფრო დეტალურად, ეს იყო ძირითადად შემდეგი ფაქტორების ნეტ ეფექტი:

ა) გაიზარდა წმინდა საპროცენტო შემოსავალი: სესხების პორტფელის გაზრდის შედეგად, კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 26,964 ათასი ლარით და 2024 წელს 171,253 ათასი ლარი შეადგინა. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი შემცირდა 2,490 ათასი ლარით და 2024 წელს 14,377 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფული და ფულადი ექვივალენტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 177 ათასი ლარით და 2024 წელს 3,585 ათასი ლარი შეადგინა. მეორეს მხრივ, საპროცენტო ხარჯი დეპოზიტების პორტფელზე გაიზარდა 17,319 ათასი ლარით და 78,215 ათასი ლარი შეადგინა, რაც გამოწვეული იყო დეპოზიტების პორტფელის ზრდით. საპროცენტო ხარჯი საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებზე 6,973 ათასი ლარით შემცირდა და 24,822 ათასი ლარი შეადგინა, საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხებზე 6,860 ათასი ლარით გაიზარდა და შეადგინა 9,521 ათასი ლარი;

ბ) ამ წელს სესხების გაუფასურების რეზერვმა 5,488 ათასი ლარი შეადგინა - წინა წელთან შედარებით 2,867 ათასი ლარით ზრდა. ზრდა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ 2023 წელს ბანკი კვლავაც აუქმებდა COVID-19-თან დაკავშირებულ რეზერვებს, მაშინ როცა 2024 წელს გაუფასურების მაჩვენებელი ნორმალურ დონეზე გამოდის და სრულად შეესაბამება ბანკის რისკისადმი მიდგომასა და პოლიტიკას;

გ) წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან (ვაჭრობა, ფორვარდული კონტრაქტები და უცხოური ვალუტის გადაფასება) 2023 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,196 ათასი ლარით და 7,515 ათასი ლარი შეადგინა, რაც უმთავრესად განპირობებული იყო უცხოური ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავლის ზრდით;

დ) წმინდა საკომისიო შემოსავალი გაიზარდა 42 ათასი ლარით და 5,138 ათასი ლარი შეადგინა, (გაიზარდა როგორც საკომისიო შემოსავალები, ასევე საკომისიო ხარჯები);

არასაპროცენტო ხარჯები 6,576 ათასი ლარით გაიზარდა და 2024 წელს 48,928 ათასი ლარი შეადგინა: გაიზარდა სახელფასო ხარჯები 940 ათასი ლარით და 29,340 ათასი ლარი შეადგინა; ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები 1,265 ათასი ლარით გაიზარდა და 6,538 ათასი ლარი შეადგინა; სხვა გაუფასურების ხარჯები დადებითად შეიცვალა და 1,139 ათასი ლარი შეადგინა 2024 წელს, ხოლო მოგებამ დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან 228 ათასი ლარი შეადგინა (3,723 ათასი ლარით შემცირება). ეს გამოწვეული იყო წინა წელს მსხვილი დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგებით.

წლის განმავლობაში მიღებული მოგება და სრული შემოსავალი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2024 წელს მოგებამ 30,839 ათასი ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც წინა წელს 29,833 ათასი ლარი იყო.

სს ტერაბანკი
მმართველობითი ანგარიშგება 2024

ბანკის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები:

	2024	2023	ახსნა
წმინდა საპროცენტო შემოსავლები /საშუალო საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები (NIM)	4.6%	4.7%	NIM კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა - საშუალო საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები გაიზარდა 13.7%-ით, მაშინ როცა წმინდა საპროცენტო შემოსავლები გაიზარდა 10.8%-ით, რამაც კოეფიციენტის უმნიშვნელო შეცვლა გამოიწვია.
საპროცენტო მარჟა (Spread)	4.1%	4.2%	საპროცენტო შემოსავლის შეფარდება საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებთან 11.2%-დან 11.4%-მდე გაიზარდა. მეორეს მხრივ, საპროცენტო ხარჯის შეფარდება საპროცენტო ხარჯების მქონე ვალდებულებებთან შედარებით გაიზარდა 7.0%-დან 7.3%-მდე, რამაც გამოიწვია მარჟის შემცირება.
ხარჯი/შემოსავალი (Cost to income ratio)	54.7%	57.0%	სახელფასო და სხვა არასაპროცენტო ხარჯები (გარდა სხვა რეზერვების ხარჯებისა და დასაკუთრებული ქონების გადაფასებიდან და. გაყიდვიდან მიღებული ზარალისა) გაიზარდა 8.8%-ით (ძირითადად ცვეთის ხარჯის ზრდის შედეგად), ხოლო საოპერაციო შემოსავალი გაიზარდა 13.4%-ით, შედეგად ამას მოყვა ხარჯი/შემოსავლის კოეფიციენტის შემცირება.
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	11.5%	12.6%	გაუნაწილებელი მოგება 2024 წელს გაიზარდა (3,4%) და 30,839 ათასი ლარი შეადგინა, 2023 წელს 29,833 ათასი ლარი. საშუალო მთლიანი კაპიტალი 12.8%-ით გაიზარდა, რამაც გამოიწვია ROE-ს შემცირება.
სესხების რეზერვი/სესხები (Cost of risk)	0.4%	0.2%	მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მათ შორის ლიზინგის პორტფელი, 2024 წელს გაიზარდა 130,125 ათასი ლარით (9.9%). სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი 2,867 ათასი ლარით გაიზარდა (9,4%), რამაც გამოიწვია კოეფიციენტის ზრდა. ზრდა რეზერვების დონის ნორმალიზაციას ასახავს, რაც 2023 წელს ერთჯერად COVID-19-თან დაკავშირებულ რეზერვების გაუქმებას მოჰყვა და შეესაბამება ბანკის რისკისადმი მიდგომასა და მოსალოდნელ პორტფელის ზრდას.

4. რისკების მართვა

4.1 რისკების სახეები

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და ბანკის ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. ბანკის რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას.

რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები გადაიხედება რეგულარულად, რათა აისახოს მასში ცვლილებები საბაზრო პირობებში, შეთავაზებულ პროდუქტსა და სერვისებში და განვითარდეს საუკეთესო პრაქტიკა. ბანკმა შეიმუშავა ანგარიშგების სისტემა მნიშვნელოვანი რისკებისა და კაპიტალის შესახებ.

ბანკი იდენტიფიცირებას ახდენს და მართავს ბიზნესთან დაკავშირებულ შემდეგ რისკებს:

- ▶ **საკრედიტო რისკი** - წარმოიქმნება იმ ალბათობიდან, რომ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამის შედეგად ბანკმა შესაძლოა მიიღოს ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ბანკის სასესხო და სხვა ტიპის ტრანზაქციებიდან.
- ▶ **საბაზრო რისკი** - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების მერყეობისაგან საბაზრო ფასების ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან.
- ▶ **ლიკვიდურობის რისკი** - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოშვას საკმარისი ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი.
- ▶ **საოპერაციო რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი მიიღებს ფინანსურ ზარალს სისტემების ჩავარდნის, ადამიანური შეცდომებისაგან, თაღლითობისაგან ან სხვა გარე ზემოქმედებისაგან (მაგალითად კიბერ თავდასხმისგან, ა.შ.). ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ბანკის რეპუტაციას, ნეგატიური გავლენა იქონიონ საზედამხედველო ან სამართლებრივი კუთხით, შეუძლიათ ფინანსური ზარალი მიაყენონ ბანკს.
- ▶ **საზედამხედველო და შესაბამისობის რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.
- ▶ **მაკროეკონომიკური რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მერყეობა ნედლეულის ბაზრებზე, უმუშევრობის ზრდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის მშპ-ს კლება, ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
- ▶ **რეპუტაციული რისკი** - წარმოადგენს რისკს, რომ უარყოფითად განწყობილმა დაინტერესებულმა მხარემ ან საზოგადოების შეხედულებამ კომპანიის შესახებ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კლიენტების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე, ასევე შესაძლოა საფუძველი დაუდოს სამართლებრივ ან საზედამხედველო ზომებს.


ამ რისკების მართვისათვის ბანკში შემუშავებულია პოლიტიკები, პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. სამეთვალყურეო საბჭო იყენებს შიდა აუდიტის პროცესს რისკების მართვის ჩარჩოს და შესაბამისი პოლიტიკების და პროცედურების შესრულების ზედამხედველობისათვის. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს, რომ რისკების მიტიგაციის პროცედურები შესაბამისობაში იყოს ბანკის სტრატეგიასთან მიკრო, მცირე და საშუალო, რითილ სეგმენტებზე ფოკუსირებასთან. რეგულარული შეხვედრების და რეპორტირების (სადაც რისკის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებლებია წარმოდგენილი) საშუალებით სამეთვალყურეო საბჭო მონიტორინგს უწევს რისკების მართვის ზოგად პროცესს და რისკის პოლიტიკების და პროცედურების შესრულებას.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე მთელი ბანკის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაზე. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტების და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლების და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

რისკების დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის და შესაბამისობის საერთო მართვაზე, უზრუნველყოფს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, გაზომვის, მართვის და ანგარიშგების საერთო მეთოდების შემუშავებას და დანერგვას. რისკების დირექტორი ექვემდებარება პირდაპირ გენერალურ დირექტორს და არაპირდაპირ- დირექტორთა საბჭოს.

რისკების დირექტორის გარდა ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტებიც პასუხისმგებლები არიან მართონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში არსებული რისკები.

წინამდებარე სქემა გვიჩვენებს ბანკის რისკების ზოგადი მართვის სტრუქტურას:



4.2 რისკების მიტიგაციის სტრატეგია

ბანკის მიერ შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და მათ დანერგვას. ეს ერთეულებია: საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილება, პორტფელურის რისკების ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება, ხაზინის განყოფილება, ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება, იურიდიული და შესაბამისობის განყოფილება, ფინანსური მონიტორინგის განყოფილება. იურიდიული და შესაბამისობის განყოფილება და ფინანსური მონიტორინგის განყოფილება ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს, საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილება, პორტფელურის რისკების ანალიზის განყოფილება, საოპერაციო რისკების განყოფილება, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების განყოფილება, კონტროლინგის განყოფილება, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება ექვემდებარებიან რისკების დირექტორს, ხაზინის განყოფილება და ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება ექვემდებარებიან ფინანსურ დირექტორს. თითოეული ეს ერთეული ფოკუსირებულია მისი საქმიანობისათვის სპეციფიური რისკების მიტიგაციაზე.

- ▶ **იურიდიული, კორპორატიული მართვის და საზედამხედველო შესაბამისობის განყოფილება** ჩართულია ბანკის სამართლებრივი რისკის მიტიგაციის პროცესში. როგორც სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის მხრივ, ასევე შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების პროცესში, რათა ბანკი იყოს შესაბამისობაში, ყველა სამართლებრივ და საზედამხედველო რეგულაციასთან მიმართებით.
- ▶ **ფინანსური მონიტორინგის განყოფილება** ჩართულია კლიენტებისა და მათი ტრანზაქციების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით არსებული რისკების მიტიგაციის პროცესებში. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საზედამხედველო მოთხოვნებსა და საერთაშორისო ნორმებთან დაკავშირებით.
- ▶ **ხაზინის განყოფილება** მართავს ბანკის ღია სავალუტო პოზიციას, ლიკვიდობის, საბაზრო და საპროცენტო რისკებს. თითოეულის მიტიგაციისთვის იყენებს შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ლიმიტებს.
- ▶ **ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილება** მართავს სხვადასხვა ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებულ რისკებს და საანგარიშგებო და საზედამხედველო ინსტრუმენტების საშუალებით ახდენს სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკის მართვას.
- ▶ **საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილება** პასუხისმგებელია მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზის ჩატარებაზე. ის აფასებს კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას, გადახდმუშაობას, უზრუნველყოფის ადეკვატურობას, რათა შეაფასოს რისკის დონე ბანკის რისკის აპეტიტთან შესაბამისობის თვალსაზრისით.
- ▶ **პორტფელური რისკების ანალიზის განყოფილება** ახორციელებს ბანკის საკრედიტო პორტფელის მონიტორინგს და აფასებს მის შესაბამისობას რისკის აპეტიტის მიერ დადგენილ ლიმიტებთან მიმართებაში. ის აანალიზებს მსესხებელთა ჯგუფების თუ დარგობრივ კონცენტრაციას, ამონიტორინგებს ვადაგადაცილებული სესხების დონეს, ასევე პერიოდულად ატარებს სტრესს ტესტებს პოტენციური რისკის დონეების შესაფასებლად.
- ▶ **საოპერაციო რისკების განყოფილება** ახორციელებს შიდა პროცესების, ადამიანების, სისტემების თუ გარეგანი მოვლენების საფუძველზე წარმოშობილი რისკების მონიტორინგს, აღმოჩენასა და მართვას. მისი ამოცანაა სისტემური ხარვეზების თუ თაღლითური ქმედებებისაგან მიღებული ზარალის მინიმიზაცია, ძლიერი შიდა კონტროლის და რისკების მონიტორინგის ჩარჩოს დანერგვის გზით. იგი ასევე უზრუნველყოფს რისკების გაცნობიერების კულტურის ამაღლებას თანამშრომელთა შორის და მარეგულირებელ თუ დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობას.

- ▶ **საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების განყოფილება** უზრუნველყოფ ბანკის მონაცემების, სისტემების და ციფრული აქტივების დაცვას კიბერ საფრთხეებისაგან. ის აყალიბებს უსაფრთხოების პოლიტიკას, ახორციელებს მონიტორინგს და ნერგავს ინციდენტებზე რეაგირების პროტოკოლებს. ასევე მუდმივად ატარებს ტრეინინგებს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ცნობიერების აამღლების მიზნით.
- ▶ **კონტროლინგის განყოფილება** აკონტროლებს ბანკის შესაბამისობას საკრედიტო რისკების პოლიტიკებსა და პროცედურებთან. გამოთქვამს დამოუკიდებელ მოსაზრებას, მენეჯმენტის, საკრედიტო კომიტეტისა და საკრედიტო რისკებისა და პორტფელის ანალიზის განყოფილების მიერ შემუშავებული რისკების მიტიგაციის ფაქტორებთან დაკავშირებით.
- ▶ **პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება** პასუხისმგებელია პრობლემური სესხების მართვაზე და გაჯანსაღებაზე, საკრედიტო რისკებიდან მიღებული ზარალის მინიმიზაციის მიზნით. ის ურთიერთობს ვაგადადაცილებულ მსესხებლებთან სესხების რესტრუქტურირების, სრულად დაფარვის მიზნით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამართლებრივ ბერკეტებს.

4.3 რისკის და შესაბამისობის კომიტეტი

რისკის და შესაბამისობის კომიტეტი შექმნილი არის სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ და პასუხისმგებელია ბანკის შიდა დოკუმენტების შესაბამისად რისკის ლიმიტების და კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებლების დაცვის კონტროლზე. კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს ოთხი დამოუკიდებელი წევრისგან. რისკის კომიტეტის კომპეტენციაში შედის:

- ▶ განიხილოს ბანკის რისკის სტრატეგია და მასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს გაუწიოს შესაბამისი რეკომენდაციები, ასევე ბანკის მიმდინარე და სამომავლო რისკის აპეტიტთან დაკავშირებით;
- ▶ გამჟღავნოს ბანკის რისკის კულტურა და შეაფასოს/განიხილოს ბანკის რისკის პოლიტიკა;
- ▶ ზედამხედველობა გაუწიოს, რომ მენეჯმენტს აქვს შესაბამისი პროცესები, რომელიც ხელს შეუწყობს დამტკიცებული რისკის პოლიტიკის დაცვას;
- ▶ რისკების დირექტორთან თანამშრომლობა და მისი საქმიანობის მონიტორინგი;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციის გაწევა რისკის სტრატეგიასთან და რისკის პოლიტიკის ეფექტურობასთან დაკავშირებით, ასევე, გამოვლენილი რისკების მაკომპენსირებელი ადექვატური კაპიტალის დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;
- ▶ კაპიტალის და ლიკვიდურობის სტრატეგიის მონიტორინგი; ასევე ყველა სხვა რისკის მონიტორინგი, რომ გარანტირებული იყოს ბანკის რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

4.4 რისკების მართვის კომიტეტები

ბანკში შექმნილი პოლიტიკების და პროცედურების განხორციელებისათვის, დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

საკრედიტო კომიტეტი ჩართულია ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო, კორპორატიული, პირადი საბანკო მომსახურების კლიენტების საკრედიტო ლიმიტების ზედამხედველობაში, მართვასა და დამტკიცებაში. საკრედიტო კომიტეტი შედგება რისკებისა და ბიზნესის შესაბამისი წარმომადგენლებისაგან. სასესხო განაცხადის ინიცირება ხდება ფილიალის/გაყიდვების დონეზე და შემდეგ დასამტკიცებლად გადაეგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს. ბანკის მიერ შექმნილია საკრედიტო კომიტეტების რამდენიმე დონე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცებაზე.

ყველა ბიზნეს სესხი მტკიცდება შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტზე, თანხის შესაბამისად, მას შემდეგ რაც მოხდება სასესხო განაცხადების ანალიზი. დამტკიცების ლიმიტები მერყეობს ინდივიდუალური რისკ მენეჯერის დონიდან კომიტეტამდე, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და ესწრებიან მენეჯმენტის წარმომადგენლები.

საცალო სესხები მაქსიმალური ოდენობით 30 ათასი ლარი შეიძლება გაიცეს ფილიალის დონეზე. სესხი უნდა აკმაყოფილებდეს საკრედიტო რისკებისა და პორფელური ანალიზის განყოფილების მიერ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ბიზნეს სესხებში, მხოლოდ 10 ათას ლარზე ნაკლები ოდენობის სესხი შეიძლება დამტკიცდეს ფილიალის დონეზე. ყველა სხვა მოთხოვნილი სესხი დასამტკიცებლად გადაეგზავნება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს.

სესხი რომელიც ადგება 5 მლნ აშშ დოლარს უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოზე. ასევე სესხების დაკავშირებული მხარეების სასარგებლოდ მტკიცდება მე-3 დონის (უმაღლესი) საკრედიტო კომიტეტის მიერ სეზ-ის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ამ ლიმიტს ზევით სესხები დაკავშირებული მხარეების სასარგებლოდ წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

დამტკიცების ლიმიტების გადახედვა ხდება წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება.

აქტივებისა და პასივების კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის, კაპიტალის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და პასივების კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, წინასწარ განსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობას და მის შესაბამისობას აქტივებისა და მომგებიანობის მოსალოდნელ ზრდასთან, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის. აქტივებისა და პასივების კომიტეტი შედგება ფინანსური რისკებისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსის, ბანკის ბიზნეს მიმართულებების უფროსებისაგან და ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისაგან. აქტივებისა და პასივების კომიტეტის შეხვედრები რეგულარულად იმართება.

საოპერაციო რისკების კომიტეტი ჩართულია საოპერაციო რისკების მართვასა და ზედამხედველობაში. ის აწესებს ჩარჩოს საოპერაციო რისკების მართვისათვის, აწესებს კონტროლის მექანიზმებს უფლებების ეფექტური განაწილებისათვის, დაშვების, ავტორიზაციის, გადამოწმების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლების და შეფასების პროცედურებს, შიდა აუდიტის გამოყენების წესებს. საოპერაციო რისკების კომიტეტი შედგება საოპერაციო რისკების განყოფილების თანამშრომლებისაგან და დირექტორთა საბჭოს წევრებისაგან.

ამ კომიტეტების გარდა, დირექტორთა საბჭო ატარებს შეხვედრებს რისკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, სადაც ხდება საკითხების განხილვა პროდუქტის ან ცალკეული ბიზნეს სეგმენტის დონეზე.

4.5 საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკის მიერ დანერგილია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც ფოკუსირებულია ცალკეული რისკებზე:

- ▶ ბანკს აქვს შემოღებული ლიმიტები რომლებიც მართავენ რისკებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე (მაქსიმალური ლიმიტები ერთ მსესხებელზე და ერთ დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე), სექტორულ დონეზე (ცალკეული სექტორებისათვის დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები, ეს ლიმიტები დაკავშირებულია ბანკის კაპიტალთან და პორტფელის მოცულობასთან), პროდუქტის დონეზე (ცალკეული პროდუქტებზე დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები ლარში). აღნიშნული ლიმიტები დაწესებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ, საკრედიტო რისკების ანალიზისა და პორტფელური რისკების ანალიზის დეპარტამენტები ახორციელებს მათ მონიტორინგს. აღნიშნული ლიმიტები არის დამატებითი ლიმიტები, სავალდებულო საზედამხედველო ლიმიტების გარდა. ლიმიტების გადახედვა ხდება პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

- ▶ საკრედიტო რისკების მიტიგაციისათვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფას. უზრუნველყოფის შეფასების, გაფორმების და მონიტორინგისათვის შექმნილია შესაბამისი პროცედურები და პოლიტიკები. ბანკისათვის მისაღებია შემდეგი ტიპის უზრუნველყოფები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, კომერციული უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები, მანქანები და მოწყობილობები, ავტომობილები, კორპორატიული და პირადი თავდებობები, გარანტიები ფინანსური ინსტიტუტებიდან, დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები, ძვირფასი ლითონები. უზრუნველყოფის თითოეული ტიპისათვის დაწესებულია სპეციფიური დისკონტის განაკვეთი, შეფასების სპეციფიკაციები, მონიტორინგის პროცედურები. როგორც წესი, შეფასება ხორციელდება ბანკის პროფესიონალი შიდა შემფასებლების მიერ, თუმცა შესაძლებელია ცალკეული აღიარებული გარე კომპანიების გამოყენება.
- ▶ უზრუნველყოფების გადაფასება ხდება პერიოდულად, მათი ტიპის და სესხის სტატუსის შესაბამისად, უფრო მაღალი რისკის მქონე სესხებისათვის გადაფასება ხდება უფრო ხშირად. გადაფასების პროცესი წარმართება რისკების სპეციალიზირებული ერთეულის მიერ.
- ▶ ბანკის მიერ ამჟამად არ გამოიყენება შიდა საკრედიტო მოდელები. კრედიტ ინფო საქართველოს საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება სესხის დამტკიცების პროცესში, ძირითადად საცალო სესხების კუთხით. საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოების (Fitch, Moody's და Standard and Poors) საკრედიტო ხარისხის შეფასება გამოიყენება ბანკების პირობითი და უპირობო მოთხოვნების საკრედიტო რისკების განსაზღვრისას.
- ▶ რისკების მიტიგაციის ფარგლებში და რეგულატორული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს თავის აქტივებზე (საკრედიტო ლიმიტები, ღია სავალუტო პოზიცია, აქტივების გაუფასურება, ა.შ.) სეზ-ის მიერ მოწოდებული სცენარების შესაბამისად. სტრეს ტესტების მოდელებზე დაყრდნობით ბანკი განსაზღვრავს შესაძლო დამატებით დანაკარგს სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორის გაუარესების შემთხვევაში. სცენარებში გათვალისწინებულია შემდეგი პარამეტრები: ეროვნული ვალუტის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში, საპროცენტო განაკვეთების შემცირება, საოპერაციო ხარჯების ზრდა, საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება, უძრავი ქონების ბაზარზე ფასების შემცირება. ჩამოთვლილი პარამეტრების გათვალისწინებით განისაზღვრება ლიკვიდობის პოზიციის შესაძლო ცვლილება და მოგება-ზარალზე სავარაუდო ეფექტი, რაც აისახება კაპიტალის ადეკვატურობის კალკულაციაზე. სტრეს-ტესტების შედეგების განხილვა ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.
- ▶ ბანკში მოქმედებს სესხების რეზერვირების პოლიტიკა, რომელიც პასუხობს ფასს 9-ის მოთხოვნებს. იგი ახდენს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გაანგარიშებას შემდეგი კომპონენტების გამოყენებით: Probability of Default, Exposure at Default, Loss Given Default. რეზერვების გამოთვლისას ხდება მაკროეკონომიკური სცენარების გამოყენება. პერიოდულად ხდება მეთოდოლოგიის კორექტირება, რათა სესხების რეზერვებმა უკეთ ასახოს საკრედიტო პორტფელის რისკის დონე.

საკრედიტო რისკების რეპორტირებს ახორციელებს პორტფელური რისკების ანალიზის განყოფილება. ეს მოიცავს პერიოდულ რეპორტირებს სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან, სადაც ხდება სხვადასხვა რისკების მაჩვენებლების პრეზენტაცია და განხილვა, ასევე დამატებითი რეპორტირები რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე. რისკ რეპორტირების პროცესი მიმდინარეობს ბანკის სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობით.

4.6 ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის მოსვლის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. რისკის მართვა ხდება ხაზინის და ფინანსური რისკების და რეპორტირების განყოფილებების მიერ. ლიკვიდურობის რისკის მართვის შემუშავებული ჩარჩო წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბანკი როგორც ტიპიურ, ასევე სტრესულ სიტუაციებში მოახერხებს გადახდის ვალდებულებების შესრულებას.

ბანკის ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მოწაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ▶ ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- ▶ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- ▶ მაღალი ლიკვიდურობის და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- ▶ პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედებში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ▶ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- ▶ დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის ფინანსური რისკის მენეჯმენტის და სახაზინო განყოფილებას შემდეგი პასუხისმგებლობა აკისრია:

- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ▶ ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ლიკვიდური აქტივების დონეების შესახებ ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო), ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ;
- ▶ ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში, ფულადი ნაკადების საპროგნოზო დონეების შესახებ, ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ▶ ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- ▶ დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- ▶ ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის ქონა, სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

ბანკი ცალკეულ დონეზე აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას განსაზღვრული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური რისკების და რეპორტირების და სახაზინო განყოფილების მიერ ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს.

4.7 აუდიტის კომიტეტი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაში არიან სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაა:

- ▶ შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბება, შიდა აუდიტის განყოფილების საქმიანობების ორგანიზება და მისი ზედამხედველობა;
- ▶ შიდა აუდიტის განყოფილების სამტატო ნუსხის ჩამოყალიბება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ შიდა აუდიტის განყოფილების უფროსის დანიშვნა/გათავისუფლების საკითხის განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ შიდა აუდიტის განყოფილების სამსახურის ადეკვატური რესურსების და მისი თანამშრომლებისათვის სათანადო ანაზღაურებისა და მოტივაციების სისტემის არსებობის უზრუნველყოფა;
- ▶ შიდა აუდიტის განყოფილების მეშვეობით ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების განხორციელება;
- ▶ შიდააუდიტორული საქმიანობის პროგრამის განხილვა და დამტკიცება თითოეული ფისკალური წლისათვის კვარტლების მიხედვით;
- ▶ გარეაუდიტორული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

აუდიტის კომიტეტი იკრიბება, როგორც მინიმუმ, ყოველკვარტალურად. 2024 წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე განსახილველი საკითხები მოიცავდა აუდიტის გეგმის დამტკიცებას, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული რეკომენდაციების, მათ საპასუხოდ შემუშავებული სამოქმედო გეგმების გაზიარებას, შიდა აუდიტის გეგმის შესრულების ზედამხედველობას და სხვა კადრებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

5. არაფინანსური ინფორმაცია

ბანკის ბიზნეს მოდელი

მმართველობითი ანგარიშის მე-3-6 გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია ბანკის სტრატეგიაზე, ბიზნეს მოდელსა და ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებზე.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის (ESG) საკითხები

სს ტერაბანკის სტრატეგიული მიმართულებაა მხარი დაუჭიროს პარიზის შეთანხმების მიზნებს და ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილისა (NDC) და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევას.

სს ტერაბანკი აცნობიერებს, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატება შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ჯანსაღი გარემოს არსებობასთან. საბანკო საქმიანობის დროს შესაძლოა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან მიმართებით დადგეს სამართლებრივი, საკრედიტო და რეპუტაციული რისკები. ამ რისკების მართვის მიზნით, ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების (ESG) პოლიტიკა და პროცედურები. ამ პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება გარე კონსულტანტებისა და ფინანსური პარტნიორების დახმარებით განხორციელდა. ეს ყველაფერი საკრედიტო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სს ტერაბანკს აღებული აქვს ვალდებულება, რომ მაღალი რისკის მქონე სესხები არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი სასესხო პორტფელის 25%-ს. 2024 წლის მონაცემებით, ეს ინდიკატორი 3%-ს არ აჭარბებდა. ამ პროცესის მართვის მიზნით, ბანკმა შექმნა შესაბამისი პოზიციები.

2023 წლიდან აღნიშნული მისიის მისაღწევად ბანკის სტრატეგიული ფოკუსია კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკების ბიზნეს სტრატეგიაში ინტეგრირებისათვის საჭირო რესურსების მობილიზება, ასევე, მწვანე დაკრედიტებისა და ინვესტიციების გაზრდის მიზნით მრავალმხრივი მიდგომების გამოყენება: რისკების გარდაქმნა შესაძლებლობებად და ბანკის კლიენტებისა და ზოგადად ბიზნესის მხარდაჭერა ნახშირბადის წმინდა ნულოვანი ემისიის მიღწევაში, 2050 წლისთვის.

2024 წელს ტერაბანკმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მისი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) მიმართულებით, კერძოდ:

- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (EIB, DEG) ტექნიკური მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ESG პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტებზე.
- განახლდა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა და ამასთანავე, შემუშავდა კლიმატის რისკის მართვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია, რომლის დანერგვაც იგეგმება 2025-2026 წლებში.
- შემუშავდა მწვანე დაფინანსების პროცედურები და დაინერგა მწვანე სესხების კატეგორიზაციის ჩარჩო, რომელიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიას.
- ჩამოყალიბდა ESG მმართველობის სტრუქტურა და დაორგანიზდა ESG ტრენინგები და ვორქშოპები მენეჯმენტის ზედა და საშუალო რგოლის თანამშრომლებისთვის.

- შემუშავდა ინიციატივები და სამოქმედო გეგმა მწვანე პროდუქტების, სერვისების და სესხების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად;

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით, ტერაბანკმა დაიწყო მუშაობა კლიმატის გარდამავალი გეგმის ჩარჩო დოკუმენტზე, რომელიც აერთიანებს კლიმატის რისკებისა და შესაძლებლობების შეფასების საუკეთესო პრაქტიკას. აღნიშნული გეგმის ადაპტირება და დანერგვა დაგეგმილია 2025-2026 წლებში და დაეხმარება ბანკს დააკმაყოფილოს კლიმატთან დაკავშირებული პარამეტრების გამჟღავნების სტანდარტები და ხელი შეუწყოს გამჭვირვალე, მომავალზე ორიენტირებული კლიმატური რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავებას.

მომდევნო წლებში სს ტერაბანკი გეგმავს არსებული პოლიტიკისა და პროცედურების გაფართოებას და დამატებით ინფორმირებას ბანკის კლიენტებისა და მათი E&S კვალიფიკაციის, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ და შესაბამისად დაკრედიტების პროცედურების კორექტირებას. აღნიშნული მიიღწევა დიუ დილიჯენსის (Due diligence) პროცედურის მეშვეობით, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკს უკეთესად შეისწავლოს კლიმატური რისკები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს კლიენტების ზოგიერთი ნაწილი, და ამავდროულად, აღმოაჩინოს ახალი შესაძლებლობები, რაც ბანკს შეუძლია შესთავაზოს ბაზარს. შედეგად, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, სს ტერაბანკი მიზნად ისახავს, გააძლიეროს კლიმატური რისკების მართვის პრაქტიკა და მწვანე დაკრედიტების ჩარჩო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების, IFRS S2 და სებ-ის ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად.

თაღლითობის, ქრთამის და კორუფციის პრევენცია

ბანკი კორუფციისა და თაღლითობის პრევენციისთვის აქტიურ ზომებს მიმართავს, რაც თავის მხრივ ეფუძნება ეთიკის კოდექსს - სამართლიანობის და პატიოსნების პრინციპს, ასევე კორუფციის მიუღებლობის პრინციპს. ბანკის ბიზნეს ურთიერთობა თავის კონტრაგენტებთან (კლიენტებთან, პარტნიორებთან, ვენდორებთან) ნდობის, პატიოსნების და სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული. ბანკი მტკიცედ მიჰყვება ეთიკის ნორმებს და კრძალავს ქრთამის მიღებას, არამართლზომიერ პირობებს/შეთავაზებებს და არ უშვებს ამ ურთიერთობებში კორუფციის რაიმე ფორმით არსებობას.

ბანკმა დაადგინა აკრძალვები, განსაზღვრა ქცევის წესები და კონტროლის მექანიზმები, ასევე დაადგინა შეტყობინების ვალდებულება ისეთ სიტუაციებში, სადაც მაღალია თაღლითობის რისკი.

ბანკის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კორპორატიული ეთიკის პრინციპების (პატიოსნების, სამართლიანობის, ნდობის, ა.შ) ფარგლებში აწარმოოს თავის საქმიანობა, შესაბამისი ყურადღებით მოეპყრას დადგენილ მოთხოვნებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის ბიზნეს პარტნიორებთან თაღლითური გარიგებების, ქრთამის/არამართლზომიერი შეთავაზებების შემთხვევები. ბანკის თანამშრომელს ან დაკავშირებულ პირს ეკრძალება ბანკთან ბიზნეს ურთიერთობაში მყოფ პირთან ერთად ასეთი ტიპის ტრანზაქციებში მონაწილეობა, თაღლითურ ქმედებაში ჩართვა/ჩართვის მცდელობა.

ბანკი მესამე მხარესთან (კლიენტებთან, პარტნიორებთან, პროდუქტის/მომსახურების მომწოდებელ ერთეულებთან) ბიზნეს ურთიერთობის დამყარებამდე ითვალისწინებს რისკებს და განსაზღვრულ ზომებს იღებს. იგულისხმება მესამე მხარის მონიტორინგი, თუ რამდენად თანხვედრაშია ნდობის, პატიოსნების და გამჭვირვალობის პრინციპებთან, ასევე იგულისხმება თაღლითობასთან,

კორუფციასთან, მექრთამეობასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმთან დაკავშირებული რისკების შეფასება.

ბანკის თითოეული დეპარტამენტის/მიმართულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სტრუქტურულ ერთეულში თაღლითური ქმედების გამოვლენაზე და რისკების შესაბამის ერთეულთან ინფორმაციის დროულ მიწოდებაზე.

რისკების ანალიზი

რისკების მართვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ ანგარიშის 7-17 გვერდებზე.

ადამიანური რესურსები

სს „ტერაბანკის“ HR პოლიტიკა ეფუძნება პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც თავის მხრივ შესაბამისობაშია ბანკის კორპორატიულ კულტურასთან, კანონმდებლობასთან და ბანკის შიდა რეგულაციებთან. ორგანიზაციული კულტურის ძირითადი მახასიათებელია ორმხრივი პატივისცემა, საერთო ღირებულებების, ნორმების, დამოკიდებულებების, ქცევის წესების ქონა. ეს განსაზღვრავს კომპანიის შიდა გარემოს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნებათშორის ურთიერთობაზე და დიდ როლს თამაშობს დასაქმებულის ლოიალურ განწყობილებაზე ბანკის მიმართ.

უნდა აღინიშნოს ტერაბანკის დამოკიდებულება და განსაკუთრებული მიდგომა თანამშრომლების მიმართ. ჩვენი მიზანია არა მარტო გადინების შემცირება, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებული ტალანტების შენარჩუნება და მათზე ზრუნვა.

დასაქმებულების ჩართულობის გაზრდის მიზნით, ტერაბანკმა საკმაოდ ბევრი ღონისძიება დააორგანიზა, კერძოდ: სპორტული, გასართობი, სარელაქსაციო და სხვ. აქტივობები. აღნიშნული აქტივობები დაიგეგმა ორგანიზაციული კვლევის შედეგების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარეობდა კამპანია „HR შენს გვერდით“, რომლის ფარგლებშიც ბანკის თითოეულ თანამშრომელთან ჩატარდა პირისპირი ინტერვიუ, რათა უკეთ იქნას გაგებული პირადი მოტივატორები, რაც თანამშრომლების კმაყოფილების გაზრდისა და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესადგენად იქნება გამოყენებული.

ასევე განახლდა სამოტივაციო სისტემები/სამოტივაციო პაკეტები. წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმებით გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საუკეთესო თანამშრომლები

სათაო ოფისში დასაქმებულები სარგებლობენ ჰიბრიდული სამუშაო მოდელით, რომელიც ზრდის მათ მოტივაციასა და პროდუქტიულობას.

ჩატარდა ვორქშოფები საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებულ განყოფილებებს შორის ბიზნეს კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

განახლდა ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროგრამა, რათა უფრო მარტივად მოხდეს მათი გუნდში ინტეგრაცია.

გაფორმდა მემორანდუმები ქვეყნის ტოპ უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ საბანკო სექტორში გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ გაიზარდოს თანამშრომლების კვალიფიკაცია, განახლდა მენტორინგის და სტაჟირების პროგრამები, დაიხვეწა ჰიბრიდული სწავლების მეთოდები, რაც გულისხმობს დისტანციურ და

პირისპირი ტრენინგების სინთეზს. ლიდერების განვითარების პროგრამის ფარგლებში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მენეჯერული უნარების გაძლიერების ტრენინგები/ვორქშოპები, ქოუჩინგ სესიები.

ბანკს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრება და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აქტიურობა. "ერთად მწვანე და ჯანსაღი გარემოსთვის" კამპანიის ფარგლებში ტერაბანკმა დააფინანსა თანამშრომლების საუკეთესო იდეები მწვანე მიმართულებით.

2025 წლის განმავლობაშიც ბანკი აგრძელებს ტალანტების შენარჩუნების, მათი ჩართულობის გაზრდისა და პიროვნული და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

კლიენტთა მომსახურების ხარისხი და პროდუქტების განვითარება

სს ტერაბანკის მიზანია კლიენტთა მომსახურების მაღალი სტანდარტის შექმნა ნებისმიერ სეგმენტში - კლიენტზე ზრუნვა, კმაყოფილების ზრდა და მაქსიმალური ფოკუსი მოთხოვნების შესრულებაზე.

ბანკი მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. რამდენიმე წელია, შეიქმნა ბიზნესის მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც სრულად არის ჩართული კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობა/კომუნიკაციაში, ნებისმიერი საკითხის, რეკომენდაციის, დეფექტის, პრობლემის განხილვასა და აღმოფხვრაში.

ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული კლიენტის გამოცდილება და განწყობა. ხდება მათი მოსაზრებების, რომელიმე არხით (ვერბალურად/წერილობით) მოწოდებული რეკომენდაციების გაცნობა, გათვალისწინება და ყოველდღიურ სამუშაო პროცესში ინტეგრირება. სს ტერაბანკისთვის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME) სტრატეგიული მიმართულებაა. MSME კლიენტებს სს ტერაბანკი სთავაზობს სხვადასხვა სასესხო და არასასესხო პროდუქტებს და აქტიურად ქმნის ახალს.

სს ტერაბანკი ცალკეულ კლიენტებს სთავაზობს მათზე მორგებულ პროდუქტებს, უკეთებს საკრედიტო თუ არასაკრედიტო შეთავაზებებს, რომლის შემუშავებაც ბაზრის მოთხოვნებისა და კლიენტთა საჭიროებების განსაზღვრის შემდეგ ხდება.

ჩვენი მისიაა საბანკო სერვისები და პროდუქტები მეტად ხელმისაწვდომი იყოს კლიენტებისთვის, გავაგრძელოთ სიახლეების დანერგვა და მათი მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სტრატეგიული პროექტები და მიღწევები 2024 წელს

ციფრული ტრანსფორმაცია

2024 წელს ტერაბანკმა გააუმჯობესა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, სრულად განაახლა კლიენტთან ურთიერთობის არხები, მათ შორის ინტერნეტ და მობაილ ბანკი საცალო კლიენტებისთვის, კორპორატიული ვებ გვერდი და სატელეფონო ცენტრის მოდული. მთავარი სიახლეები იყო საცალო კლიენტების ციფრული რეგისტრაცია, მარკეტინგის და ანალიზის მიზნებისთვის კლიენტების მონაცემთა პლატფორმის შექმნა, ცენტრალიზებული მონაცემთა სისტემის დანერგვა, ელექტრონული ხელმოწერების გააქტიურება - ძირითადი დოკუმენტების ციფრულ ფორმატში შექმნის და შენახვის მიზნით. საცალო და მიკრო სეგმენტებისთვის გაუმჯობესდა სესხების დამუშავების სისტემა, რაც დახვეწილი მომსახურების გაწევის მიზანს ემსახურება.

ლიზინგის ბიზნესის გაფართოება

ტერაბანკმა წარმატებით გააფართოვა ლიზინგის ბიზნესი მიმართულებით, რომლის პორტფელმაც 2024 წლის ბოლოსთვის 33 მილიონ ლარს მიაღწია. ზრდა განპირობებული იყო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე (MSMEs) მორგებული ლიზინგის პროდუქტების შეთავაზებით. 2024 წლისთვის ეს ბიზნესი მიმართულება უკვე მომგებიანად ფუნქციონირებდა, რაც ბაზარზე მისი ძლიერი პოზიციის მანიშნებელია.

გრძელვადიანი დაფინანსების მოპოვება

2024 წელს ბანკმა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მნიშვნელოვანი გრძელვადიანი დაფინანსება მოიპოვა, მათ შორის 9,6 მლნ ევრო ResponsAbility-ისგან, 20 მილიონი ევრო DEG-ისგან, 5 მილიონი დოლარი BSTDB-სგან. მიღებულმა დაფინანსებამ გაზარდა ტერაბანკის სასესხო პროდუქტების გაუმჯობესების და გაფართოვების შესაძლებლობები.

MSME სტრატეგია

EIB-ის კონსულტანტებთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული MSME სტრატეგიის შესაბამისად, ტერაბანკმა განაახლა სათავო ოფისისა და ფილიალების სტრუქტურა, რაც გაყიდვების გუნდის გაძლიერებასა და არასასესხო პროდუქტების გაფართოვებას უწყობს ხელს. SME კლიენტების ხელშესაწყობად ჩატარდა ვებინარები, B2B შეხვედრები, „SaaSargeblo“ ციფრული ტრანსფორმაციის პლატფორმის მხარდასაჭერად გაიმართა რეგიონარული ღონისძიებები, რაც ბიზნესებს ქართული SaaS-ის (პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი) დანერგვაში ეხმარება. ამას გარდა, FMO-ს NASIRA-ს საგარანტიო პროგრამის ფარგლებში სტარტაპ სესხებთან ერთად, ქალებისა და ახალგაზრდა მეწარმეებისთვის ჩაეშვა ახალი სასესხო პროდუქტები.

HR სტრატეგია

ბიზნეს სტრატეგიის გაუმჯობესების მიზნით, ტერაბანკმა შეიმუშავა სრულიად ახალი HR სტრატეგია. მის ფარგლებში განხორციელდა #TeraDigitalCompass პროექტი - დასაქმებულების ციფრული უნარების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა TalentLMS პლატფორმა - ტრენინგების მოდერნიზების მიზნით, ასევე შიდა საკომუნიკაციო პლატფორმა-ტერაპორტალი, რაც სიახლეებისა და მიღწევების გაზიარების მიზანს ემსახურება. ბანკმა ასევე განახორციელა იდეათონი - წინა სააქსელერაციო პროგრამა, რაც თანამშრომლების მცირე ბიზნეს იდეების წახალისებასა და ინოვაციების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ESG სტრატეგია

EIB-ისგან დაფინანსებული ტექნიკური დახმარების საფუძველზე ტერაბანკმა დახვეწა ESG მიმართულება. განახლდა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა, ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის ფარგლებში დაინერგა მწვანე დაფინანსების პროცედურები, შეიქმნა ESG-ის მართვის სტრუქტურა. მენეჯერებმა მონაწილეობა მიიღეს ESG ვორქშოფებსა და ტრენინგებში, შემუშავდა ინიციატივები მწვანე დაფინანსების, სერვისების განვითარების და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით.

DEG-ის ტექნიკური დახმარების საშუალებით ბანკმა შეაფასა თავისი პოტენციური მწვანე დაფინანსების მიმართულებით, განსაზღვრა ახალი ბიზნეს შესაძლებლობები. დაიდო 20 მილიონი ევროს ღირებულების საკრედიტო შეთანხმება DEG-თან, რაც SME-ის, ბიზნესმენი ქალების, მწვანე პროექტების მხარდაჭერას ისახავს მიზნად და ტერაბანკის მხრიდან მდგრადი დაფინანსების მოპოვებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ემსახურება.

რისკების მართვის გაუმჯობესება

KPMG-ის დახმარებით ტერაბანკმა გააუმჯობესა რისკების მართვის ჩარჩო - დანერგა ILAAP და ICAAP პროცესები, გააუმჯობესა LexisNexis-ის სკრინინგის სისტემები, შემოიღო საერთო ანგარიშგების სტანდარტები (CRS). გაუმჯობესდა თაღლითობის გამოაშკარავების სისტემები, შეფასდა და დაიხვეწა უსაფრთხოების ოპერაციების (SOC) პროცესები, გაძლიერდა ბანკის მდგრადობა საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან მიმართებაში.

მარკეტინგული კამპანიები

წლის განმავლობაში ტერაბანკმა ჩაატარა მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები, მათ შორის დეპოზიტების მოზიდვის, ბიზნესებისთვის მორგებული შეთავაზებების კუთხით, ასევე თვითდასაქმებულებისთვის სასესხო პროდუქტების, ავტო სესხების და სტუდენტებზე მორგებული ინიციატივების მიმართულებით. ეს კამპანიები დაეხმარა ბანკს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, ხელი შეუწყო კლიენტების მოზიდვას და გაზარდა მათი ნდობა.

თეა ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი

სოფიო ჯუღელი
ფინანსური დირექტორი

15 სექტემბერი, 2025

რისკების მართვის გაუმჯობესება

KPMG-ის დახმარებით ტერაბანკმა გააუმჯობესა რისკების მართვის ჩარჩო - დანერგა ILAAP და ICAAP პროცესები, გააუმჯობესა LexisNexis-ის სკრინინგის სისტემები, შემოიღო საერთო ანგარიშგების სტანდარტები (CRS). გაუმჯობესდა თაღლითობის გამოაშკარავების სისტემები, შეფასდა და დაიხვეწა უსაფრთხოების ოპერაციების (SOC) პროცესები, გაძლიერდა ბანკის მდგრადობა საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან მიმართებაში.

მარკეტინგული კამპანიები

წლის განმავლობაში ტერაბანკმა ჩაატარა მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები, მათ შორის დეპოზიტების მოზიდვის, ბიზნესებისთვის მორგებული შეთავაზებების კუთხით, ასევე თვითდასაქმებულებისთვის სასესხო პროდუქტების, ავტო სესხების და სტუდენტებზე მორგებული ინიციატივების მიმართულებით. ეს კამპანიები დაეხმარა ბანკს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, ხელი შეუწყო კლიენტების მოზიდვას და გაზარდა მათი ნდობა.



თეა ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი



სოფიო ჯულელი
ფინანსური დირექტორი

15 სექტემბერი, 2025